



მისეელ თუმანიშვილის სახელობის  
ოქტრალური სელოენების განეიარების  
ფონდი

Tumanishvili Theatre Foundation

# ქართული პიესა 2012



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2013

მიხილეთ მოსულიშვილი

## ვაჟა-ფშაველა, ანუ უნახავის დანახვა...

(მითორიტუალური პიესა ერთ მოქმედებად)

### მონაწილეობენ:

1. **ვაჟა** – ვაჟა-ფშაველა, იგივე ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი. ვაბრაზებისას ამბობს ხოლმე სიტყვას „საკრამენტო“. Sacramento – არსებითი სახელია იტალიურადაც და ესპანურადაც, და „საიდუმლოს“ ნიშნავს.
2. **სამძიმარი** – ქაჯის ქალი, ყელ-ღილიანი და ოქროს თმა-ქოშიანი, ხახმატის ჯვრის, იგივე ხახმატის წმინდა გიორგის მიერ ქაჯეთიდან წამოყვანილი და მისი მოდე. შეიძლება, უბრალო მოკვდავს ძილში გამოეცხადოს. ზოგჯერ მოკვდავი ქალის სახეს იღებს და მამაკაცს თავს აყვარებს, როგორც წაწალი.
3. **ანიკო** – მოწყალების და ანიკო კობიაშვილი, უყვარს წითელი ღვინო.
4. **ნინო** – მოწყალების და ნინო ვაშაკიძე-ციციშვილი.
5. **შიო** – შიო მღვიმელი, ვაჟას მეგობარი.
6. **სანდალა** – ალექსანდრე პავლეს ძე რაზიკაშვილი, ვაჟას პატარა ძმა.
7. **მინანი** – სულის მატირალი, ქადაგი ქალი, ხელზე სამაჯურით.
8. **ბერი გიორგი** – მუხის ანგელოზი, ცას აბია ოქროს შიბით (თოკის კიბით) და თიბავს კიდევ. ვაჟა, მინანი და სამძიმარი ხედავენ, სხვები – ვერა.

**მოქმედების დრო:** 1915 წლის 17 ივნისიდან 27 ივლისის 19.00 საათამდე.

**მოქმედების ადგილი:** ტფილისი, წმინდა ნინოს სამხედრო ლაზარეთი, პალატა ოფიცრების განყოფილებაში, მეოთხე სართულზე.

**შენიშვნა:** პიესაში გამოყენებულია ფრაგმენტები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიდან.

**დებორაძია:** სცენაზე დგას ბერმუხა, რომლიდანაც თოკებია გაჭიმული ყველა მიმართულებით, ხოლო ხის კენწეროზე ზემოდან ეშვება ოქროს კიბე. ამ გამოჭიმულ თოკებზე განათებულ ბურთებად მოდიან ხოლმე ღვთიშვილები.

მუხის ძირში დგას რკინის საწოლი, რომელზეც ვაჟას სძინავს, აცვია ლაზარეთის თეთრი სამოსი.

საწოლის გვერდით ტუმბოა, სადაც შავი ღვინის ბოთლები აწყვია.

საწოლთან დგას სკამი, რომელზეც მედდა ანიკო ჩამომჯდარა, წამსომი უჭირავს და ყური ვაჟას ცხვირთან მიუტანია, – სუნთქვას უსმენს.

ავანსცენაზე ზემოდან ეშვება საკიდელი, რომელზეც ქვაბი ჰკიდია.

## 1. აბრეშტ ღამითირებ...

**ანიკო** – ერთი... ორ... სამ... ოთ... ხუთ... ექვს... შვი... *(ჩქარ-ჩქარა ითვლის ვაჟას სუნთქვის სიხშირეს).*

**მინანი** – *(საკიდელზე ჩამოკიდულ ქვაბთან დგას, ბალახებს არჩევს და ქვაბში ჰყრის, თან კოვზით ურევს. ჯოხ-არგანს ებჯინება სიარულისას, ფშაურად აცვია)* დიდი ხანია, ასეა?

**სანდალა** – ჩარგალშივე იყო ცუდად და ჩემთან რომ ჩამოვიდა, მაშინაც მარცხენა ფერდს იტკიებდა.

**შიო** – 23 მაისს, საიუბილეო საღამოზეც ავად იყო.

**ნინო** – სუუ... ავადმყოფი არ გაადვიდოთ!...

**სანდალა** – *(ჩურჩულით)* ის საღამო რომ დამთავრდა, ორთაჭალის ბაღში დიდი ქეიფი გაუმართეს...

**შიო** – ეს ავადმყოფი კაცი ჩოხის ამარა წაეყვანათ...

**სანდალა** – იმ ვახშიდან მეორე დილას დაბრუნდა და შევეკითხე, რად დაიგვიანე – მეთქი?..

**ვაჟა** – *(თავს წამოსწევს, გაჯავრებული)* წამათრიეს, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციეს!.. *(თავს დაღებს და ძილს განავრძობს).*

**ანიკო** – *(უკმაყოფილოდ)* ამერია!.. ჩუმად, თუ შეიძლება! *(თავიდან იწყებს თვლას და ვაჟას სუნთქვის მოსმენას).*

**ნინო** – ჩუუ...

**მინანი** – *(ჩურჩულით)* მერე?

**სანდალა** – მერე ჩემ სახლში იწვა...

**შიო** – ხუთ ივნისს ოპერაცია გაუკეთა ქირურგმა გრიგოლ მუხაძემ...

**ნინო** – იმ ოპერაციაზე ბატონი გრიგოლის დამხმარე ვიყავი...

**მინანი** – როგორ ჩაიარა?

**ნინო** – კარგად. დიდძალი წყალი გამოუვიდა გვერდიდან.

**სანდალა** – მერე თავს უკეთ გრძნობდა.

**შიო** – ექიმი ივანე გომართელი იარებოდა და ვაჟას ჯანმრთელობა გაუმჯობესების გზას დაადგა.

**მინანი** – აგრე, აგრე, აგრემც დამიტირებ!

**ანიკო** – ჩუმად – მეთქი! ისევ ამერია! *(თავიდან იწყებს თვლას).*

**ნინო** – სუუუ...

**შიო** – *(ჩურჩულით)* წერილიც კი მისწერა ჩარგალში ოჯახობას...

**ვაჟა** – *(თავს წამოსწევს)* ჩემო ჯალაფნო! *(პაუზა).* ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ და არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა. მე დიდი ავადობა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღესდღეობით კარგადა ვარ, მაგრამ ექიმები წამოსვლის ნებას არ მაძლევენ... *(პაუზა).* მე ამ ცხრა-ათ დღეში

გამოვჩნდები მანდა. თქვენ იცით, მანდაურობას როგორ შაინახავთ და გაუფრთხილდებით. თამარო...

**სანდალა** – თამარი ცოლია...

**ვაჟა** – თამარო, სათიბეებს უფრთხილდით, თვალი უნდა დაავლო ჩქარ-ჩქარა, თორთ ხომ იცით ეხლანდელი ხალხის ამბავი.

**შიო** – მიკვირს, „საკრამენტოს“ რომ არ ამბობს...

**ნინო** – საკრამენტოს რატომ?

**სანდალა** – როცა გაბრაზდება, სულ საკრამენტო და საკრამენტო გაუდის...

**მინანი** – ნურც დაგვანატრებდეს საკრამენტოსა, დაილამა!

**ვაჟა** – წისკვილი მაშინებდა, იქნება წყალმა წაიღო და ნიკომ მითხრა, ბეკურმა გაამაგრაო.

**ნინო** – რომელი ბეკური?

**სანდალა** – ჩარგლელი მეზობელი, ბეკურ ბაჩიაშვილი!

**შიო** – მაგასთან სანახევროდ აქვს ვაჟას წისკვილი!

**ვაჟა** – (იცინის) აბა, შანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ, ერთი დიდი მენდალი უნდა მოვუტანო წადი-მოდისა. (პაუზა). მარადის თქვენი ერთგული ვაჟა. 1915 წლის 11 თიბათვე (ოდინებს).

**სანდალა** – მერე ისევ სიცხემ უმატა...

**მინანი** – აგრემც დამიტირებ!..

**ნინო** – თხუთმეტ ივლისს... აი, ძალიან ცხელი დღე რომ იყო...

**შიო** – პაპანაქება!..

**ნინო** – მეთოთხმეტე ქართული ლაზარეთის უფროსმა მითხრა...

**სანდალა** – ვლადიმერ მახვილაძემ...

**ნინო** – ჰო, ბატონმა ვლადიმერმა წინადადება მომცა, წავსულიყავი ვაჟა-ფშაველას ლაზარეთში გადმოსაყვანად. თან სანიტრები გამაყოლა და ეტლიც გამატანა.

**სანდალა** – სუუ... ეგ უკვე ვიცით...

**მინანი** – მე არ ვიცი, აგრემც დამიტირებ, მე მითხარი...

**ნინო** – (ჩურჩულით) ვაჟა-ფშაველა იწვა თავის ძმასთან, ვერაზე.

**შიო** – მღეთის ქუჩა, ნომერი ცხრა!

**ნინო** – მძიმე მდგომარეობაში იყო და მეტად შეუფერებელ პირობებში...

**სანდალა** – რა ვქნა, ვიწროდა ვარ!.. ვიწროდა...

**ნინო** – პატარა ოთახში, საშინელ და მოუწყობელ კუთხეში...

**მინანი** – მიწასამც დამაყრი... მერე?

**ნინო** – ძალიან შევწუხდი!..

**შიო** – (მინანს) ვაჟა ისეთი პოეტია, ამის ლექსებს ზეპირად სწავლობენ და შეწუხდებოდა, აბა, რა?!

**მინანი** – ეგრეა, აგრემც გიშეველის კვირა მაღლიანი...

**ნინო** – სანიტრების დახმარებით დიდი მგოსანი ეტლში მოვათავსეთ და სასწრაფოდ გადავიყვანეთ ლაზარეთში. ოფიცერთა განყოფილებაში, დიდ და ნათელ პალატაში.

(ისმის გახშირებული სუნთქვა. გულისცემის ხმა).

**ნინო** – *(ჩანაწერების რვეულში იყურება)* ტემპერატურა დილით 37, 2.  
შუადღით – 38, 5. საღამოს – 38, 3.

**შიო** – ეს თქვესმეტ ივნისს და ჩვიდმეტში...

**სანდალა** – *(ზეპირად ამბობს)* ჩვიდმეტში დილით – 37, 9. შუადღით – 37, 2. საღამოს – 38, 7.

**მინანი** – აქიმ-დასტაქრები თუ შაიყარნენ ბჭობად?

**შიო** – იმ საღამოსვე შედგა კონსილიუმი. ექიმების: სპირიდონ ვირსალაძის, ივანე გომართელის, გრიგოლ მუხაძის, ვლადიმერ მახვილაძის მონაწილეობით...

**ნინო** – *(კითხულობს)* დასკვნა: მარჯვენა გვერდში წყალი კვლავ ჩასდგომია. ისე, როგორც პირველი ოპერაციის წინათ იყო. კონსილიუმი დაინიშნოს ორ დღეში ერთხელ. მორიგი კონსილიუმი შედგეს ცხრამეტ ივნისს, პირველ საათზე. გადასაწყვეტად იმისა, თუ როგორ გამოიდევნოს სხეულიდან წყალი, ოპერაციით თუ წამლობით.

**მინანი** – აგრემც დამიტირებ!..

**ნინო** – ივნისის ცხრამეტი. ტემპერატურა - 38, 0.

**შიო** – შუადღით – 38, 4.

**სანდალა** – ამ საღამოს - 38, 5 გრადუსი.

**ანიკო** – ორმოცდაათოთხმეტი! *(რვეულს აიღებს და იწერს)* სუნთქვა – ორმოცდაათოთხმეტი.

**მინანი** – წუთში?

**ანიკო** – ჰო.

**მინანი** – *(საათს მოიმარჯვებს, ცდილობს, წუთში ორმოცდაათოთხმეტი ისუნთქოს, თავბრუ დაეხვევა და დაბარბაცდება)* მიწასამაც დამაყრი!

**ანიკო** – *(ახლა მაჯას უსინჯავს და ისევ თვლას იწყებს)* ერთ, ორ, სამ...

**ნინო** – *(შემოდის რვეულით ხელში)* აი, ახალი დასკვნა...

**სანდალა** – რაო?

**შიო** – რა თქვეს?

**მინანი** – *(დარდით)* ვაითუ, კარგი არაფერი, ჭირიმც მოგპარე...

**ნინო** – *(რვეულს აიღებს და კითხულობს)* თავიდათავი სატკივარი ამჟამად მარჯვენა გვერდის სველი პლევრიტია. ექსუდატი აღწევს პლევრის სიღრუის სულ ზევითა საზღვარს. მარცხენა გვერდში სითხის ამოცლის შემდეგ ახალმა სითხემ სწრაფად მოიყარა თავი სისხლის მილებში. დეიდლსა, თირკმელებსა და ტყირპში ავადმყოფს ქრონიკული ცვლილებები ემჩნევა. დადი სისხლნაკლებობა აქვს და მისი ორგანიზმი მეტად დასუსტებულია. ავადმყოფის სუნთქვისა და გულის მოქმედების სისწორე ნორმაზე მეტად არ არის დაშორებული. სითხეს ჯერჯერობით არ იღებენ.

**შიო** – *(ისიც დაიდარდება)* სველიო... სველი პლევრიტო...

**მინანი** – და... და... *(ატირდება)* ექსუდატო!

**შიო** – თანაც ტყირპიო!

**სანდალა** – ჰო, გაზეთებიც ერთ ამბავში არიან...

**ნინო** – ჩუმად!.. არ გააღვიძოთ!

**ანიკო** – უჰ! ისევ ამირიეთ დათვლა!

შიო – ექსუ... ექსუ... მერე როგორ?

მინანი – ...დატო, დაილამა... დატო!..

შიო – ექსუდატი...

სანდალა – (მინანს) შენ რა გატირებს, ქალავ?!

შიო – ცოცხლად ნუ დასტირი, თუ ღმერთი გწამს...

მინანი – დამაცადეთ, მიწასამც დამაყრით, ჯავრისა უნდა ვუთხრა ჯავრსა... ტირილისა კიდევ – ტირილსა!..

შიო – (სანდალას, გაოცებული) ეს ვინ არის, ხომ არ იცი?

სანდალა – მე არა, შენ?

შიო – არც მე... თქვენი ნათესავი მეგონა...

სანდალა – არა, რა ნათესავი... მე მეგონა, შენ იცნობდი.

შიო – მე კიდევ ის ვიფიქრე, რომ შენი ნაცნობი იყო.

სანდალა – არა, ჩემი არა.

შიო – არც ჩემი...

სანდალა – აბა, ვისია?

შიო – რა ვიცი...

*(სანდალა და შიო გაკვირვებულები უყურებენ ერთმანეთს).*

## 2. ხელ-სამძიმარი

*(მუხის წინ დადებულ გრდემლთან, სამფეხა სკამზე ბერი გიორგი ზის, ცელს დაშლის და ჯერ ფხას გაუსინჯავს, უკმაყოფილოდ გადაიქნევს თავს და მერე პირს გახედავს. ჩაქუჩს აიღებს და ცელის პირის გამოკვერვას იწყებს – ცელს გრდემლზე დადებს და ჩაქუჩს რიტმულად ურტყამს.*

*საკიდელზე ჩამოკიდულ ქვაბთან ზის ვაჟა, ფანდურს უკრავს თავისთვის. ამ დროს სცენის ქვემოდან მოისმის რაღაც გაურკვეველი ხმაური).*

სამძიმარი – (სცენის ქვემოდან) ლუკავ! ჰაი, ლუკავ! ლუკურიკავ!

ვაჟა – ახ, საკრამენტო! (მწარედ ჩაიციხებს, დააყურადებს და კიდევ იმეორებს) საკრამენტო! (ლოგინზე დაწვება, თავს მოიმძინარებს).

სამძიმარი – ჰაი, ლუკავ!

მინანი – (ჩურჩულით) ავი ქარია ან ავი სული, ვაჟავ!..

ვაჟა – (ჩურჩულით) მამახური?

მინანი – ჰო, მამახური! სანამ არ გამოგადვიძებს, სულ ეგრე გიძახებს! თუ ვერ გამოგადვიძა, უვნებელი იქნები...

ვაჟა – გამომადვიძა და ეგ არი!

მინანი – თუ გამოგადვიძა, მაშინვე უნდა დაუძახო: რომელი ხარ? სადმე რომ წახვალ, შვიდ მამამდის აღარ მოხვალ – თქო! და გაქრება ავი სული.

*(ლუკი იხსნება და სცენაზე ამოდის ოქროსთმიანი, ყელდილიანი, ხევსურულ ტალავარიანი, ლამაზი ქალი, ყელზე ფულ-ღილეების ასხმულა-*

*მძივი ჰკიდია და ცხვირზე ვაჟას ფერადმინებიანი პენსნე გაუკეთებია.  
ჯიბიდან საათის ძეწკვი მოუჩანს, ხელჯოხი უჭირავს).*

**ვაჟა** – *(დაინახავს, ფეხზე წამოუდგება)* რა გინდა? *(კიდევ აპირებს რაღაცის თქმას)* სადმე რომ წახვალ, შვიდ მამამდის აღარ...

**სამძიმარი** – *(არ დააცდის)* შენი გულის საიმედო მინდა!

**მინანი** – *(წყენით)* ეს სიტყვები რად ათქმევინე, ვაჟავ! რადა!.. რაც თქვა, მაგას კიდევაც შეასრულებს! *(მოდის გაბრაზებული).*

**ვაჟა** – *(დაადევნებს)* მაინც ჩემი სტუმარია!

**სამძიმარი** – მერედა, ეგრე იცით სტუმრის დახვედრა?!

**ვაჟა** – მამიხველ მშვიდობით, სტუმარო!

**სამძიმარი** – *(ჩაიცინებს)* დამხვდი მშვიდობით, ვაჟავ! *(ხელს გაუწვდის).*

**ვაჟა** – *(ხელს ჩამოართმევს და დაკვირვებით უყურებს)* ვინა ხარ, ქალავ, რა სულიერი, ჩემი პენსნე რომ დაგიკოსებია და ჩემი ხელჯოხი დაგიჭერიდა...

**სამძიმარი** – *(წაიმღერებს).*

მე ვარ ხელ-სამძიმარიო;

მე ვარ ქაჯის ქალიო.

ვაჟიერებ ჩემ დილ-ქამარსაო,

ოქროსთმიანი და ოქროს ქოშებიანიო.

**ვაჟა** – ხელ-სამძიმარი! *(თავისთვის)* უგონთგარეული ვარ თუ მეჩვენება?

**სამძიმარი** – უგონთგარეული ხარ! *(კეკლუცად)* საამო არ ვარ

საცქერლად? *(ფულ-დილებს ააუღარუნებს, მკერდს წინ წამოსწევს).*

**ვაჟა** – *(თავის ლექსს მღერის ფანდურზე).*

ქალო, გნახე ფეხშიშველა,

გამაჰგოგდი ეზოშია;

გენაცვალე – კაკაბს ჰგვანდი,

მოსეირნეს ფერდოშია.

ვისი ძუძუ გიწოვნია,

იისა თუ ვარდისაო!

გენაცვალე, შავთვალწარბავ,

გულო ჩემის დარდისაო!

*(სამძიმარი დაირცხვენს, წახვლას დააპირებს. ვაჟა განაგრძობს სიმღერას)*

გამიგონე, სად მირბიხარ,

შე უჯიშოს გვარისაო?!

შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა, –

სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;

ერთხელ კიდევ დამენახვე,

ღმერთი დედას გიცოცხლებსა!...

**სამძიმარი** – *(თივას ლოგინად აგებს და სიმღერით პასუხობს).*

მოდო, თუ მომავალი ხარ,

მამწყინდა შენი ლოდინი.

თუ ამაღამაც არ მოხვე,

მიწამ დაგიგოს ლოგინი.

მარტუაი ვარ ქალაი,

შენ გელოდები ცოდვილი.  
ერთმანეთსამც ჩაატოლა  
შენი და ჩემი თოლ-პირი.  
მაშინის დავისვენებდი,  
ჩემდ იქნებოდა ქორწილი.  
შენის სურვილისაგანა  
ეს არი, ვკვდები ცოდვილი.  
ამაზე მეტი არ არი,  
წყლულიც რო მქონდეს ორპირი?  
მოდ, ვაჟაო, გენაცვა,  
შენთვი მზა არი ლოგინი.

**ვაჟა** – *(მოისმის მექოწილეების ტაშის ხმა. სცენაზე დაეშვება წითელი კაბა და თითქოს ცეკვავსო).*

ნეტაი შენა, მთვარეო,  
რო სუყველასა ხედავო.  
კიოთ სამ არი ქორწილი,  
ტაშით სამა ტყვრებაო.  
თამაშობს წითელ კაბაი,  
რაკი არ შაუხდებაო!  
რო თამაშობას მორჩება,  
წაწაღს წინ გაუძღვებაო,  
დაუბუმბულებს თივასა,  
გვერდს თვითონ დაუწვებაო.

**სამძიმარი** – *(მევა, ჭაჭვის საკიდელზე ჩამოკიდებულ ქვაბს გააქანებს).*

ქანაობს საკიდელაი,  
თან დაიყოლებს ქალასა.  
ქვაბო, ვერცხლაით ნაპირო,  
სურვილ შაგმატებს ძალასა.

**ვაჟა** –

სურვილი სადამ გავეზავნე,  
შავკაზმე ქალებურადა,  
ვის რა-რა კარზედ მიდგება,  
შაჰყვირებს ხარებულადა?  
ვის რა-რა გადაეხვევა,  
ატირებს ქარებულადა?

**სამძიმარი** –

ყინჩია წაწაღთან წოლა,  
გაცინებულის კოცნაო.  
ჩამოსსნა მძივ-დიღებისა,  
საყელოს ჩამოტოტაო.  
მიკვრაში უამს გულზედა,  
როგორც მალამო წყლულზედა,  
ტკბილად შაქცევა სულისა,  
ქურის ტოლება ქურზედა.



*(სამძიმარი ვაჟას ხელს ჰკრავს, უკან დაიწევს და საკინძეს შეიბნევს, თან დაიმორცხვებს და ჩუმ-ჩუმად ამოხედავს ხოლმე ვაჟას).*

**ვაჟა** – *(ფანდურზე დაამღერებს).*

ქალავ, ის მიყვარს მე შენი,  
თავს რომ დაჰკიდებ მეღადა,  
პირდაპირ ცქერას ვერ ჰბედავ,  
ვაუთ ცქერას იმჩნევ წყენადა.  
დრო-და-დრო გაგეღიმება  
გულის საკლავად, ნელადა;  
უხმლო ხმალს იქნევ, უხანჯლოდ  
გულის გამხდარხარ მჭრელადა.  
ჯერაც ატყვია ჩემს გულსა  
შენგნით წყლულები ჭრელადა,  
ოცგანაც კიდევ რომ დამჭრა,  
ვერ გაგვიხდები მტერადა!

**სამძიმარი** – *(ჯერ კისკისი აუტყდება, მერე სიცილს მოსხეპს) კარგია, ლუკავ, კარგი! მაგრამ... (საათს ამოიღებს და თითს მიუკაკუნებს) რომ გვაგვიანდება?!*

**ვაჟა** – ეგ საათიც ჩემია!

**სამძიმარი** – ცოტა დრო დაგვრჩა...

**ვაჟა** – *(საათზე მიუთითებს)* ეს ჩემი „დიოგენეა“, არჩილ ჯორჯაძემ ჩამომიტანა შვეიცარიიდან!..

**სამძიმარი** – *(არჩილ ჯორჯაძის ხმით ამბობს).* „დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხოეთში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის ძიებას“, „ალუდა ქეთელაურს“, „გველის-მჭამელს“... შედეგებია, შედეგებია... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთ“.

**ვაჟა** – ეგ არჩილ ჯორჯაძემ მითხრა ათი წლის წინათ!..

**სამძიმარი** – მერედა, არ იცი, ეს შენი შედეგები საიდან არის? ჰა? საიდან? სედრაქას დუქნიდან? *(ახლა სედრაქას გამოაჯავრებს)* “რათა ქრისტიანოჯან, მე რა დამიშავებია, რომა მშიერი დამტოვო და ყველაფერი წამართო? ვა, შე ოხერო, შე დურაქო, მე მოვიგო, სხვებმა ჭამონ, სადაურია, ჰა?!”

**ვაჟა** – *(ეცინება)* ეგ სანდალას ქორწილში იყო, – მთელი ქონება უნდა ჩამოგართვა და ღარიბებს დავურიგო – მეთქი, ეგრე ვეუბნეოდი ემაგ სედრაქასა...

**სამძიმარი** – შენა, ლუკავ, მთელი ფეტივის ყანები ხო ცაში გითესია, იქა მკი და იქა ლეწავ ხოლმე და, ჭკუა დაგიშლიდა? ჰოდა, აი, გეკითხები, – მაგისი დუქნიდან ხო არ მოგქონდა ის შენი შედეგები?..

**ვაჟა** – კიოთ წამოვიღებდი, რომ ჰქონოდა... *(პაუზა)* მაშ, საიდან მომქონდა?

**სამძიმარი** – თუ გინდა, ეგ გაიგო, მაშინ უნდა ვიჩქაროთ.

**ვაჟა** – სად რას მიგვეჩქარება ნეტარა?

**სამძიმარი** – *(გაუღიმებს)* შენ გადასარჩენად!

**ვაჟა** – ერთი ესეც მობრძანე, ვინ დამაჯილდოვა შენი თავით?

**სამძიმარი** – თავად გეახელი.

**ვაჟა** – აბა, როგორ უნდა გადამარჩინო?

**სამძიმარი** – ეგ თავად იცის ხელ-სამძიმარმა!

**ვაჟა** – მეც მითხარი!

**სამძიმარი** – ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

**ვაჟა** – ჯერ სიტყვა იყო და მერე საქმე.

**სამძიმარი** – ვინ იცის, იქნებ პირიქითაც იყო?

**ვაჟა** – მითხარი, ძმაილასა და ვეცდები, გავიგო...

**სამძიმარი** – თქმას ისევ ჩვენება სჯობია... ჭკუა-გონება შენ არ გაკლია და წესით და რიგით, უცებ უნდა მიხედე... პოდა, ის გიჯობს, ლუკავ, რომ მე გამომყვე.

**ვაჟა** – შენ რატომ?

**სამძიმარი** – ამათზე მაღლა უნდა დადგე! ვერ ხედავ, რა საცოდავები არიან?

**ვაჟა** – მარტო საცოდავები?

**სამძიმარი** – დაუნდობლებიც!

*(ისმის მგლის ყმუილი).*

### 3. ღლის სასწორი ღამეა

*(ბერ გიორგის დაუმთავრებია ცელის პირის გამოკვერვა, ახლა ცელს აწყობს, – რკინის პირს ტარს გაუყრის და სოლით გაამავრებს. კმაყოფილი უყურებს ნამუშევარს. მერე ცელს მოიმარჯვებს და ერთ ნამხრევს მოიქნევს. ისმის ცელის პირის წივილი და მოთიბული ბალახის შრიალი. მერე გაჩერდება, აწყობილ ცელს ტარით დააბჯენს ძირს, ჯიბიდან საღესავს ამოიღებს და ცელის პირს რიგ-რიგობით ღესავს ორივე მხრიდან – „ჩხაააპ-ჩხუუუპ! ჩხააპ-ჩხუუპ!“ – ღესვის ხმა ფონად მიუყვება ამ სცენას).*

**სამძიმარი** – ნურც იმას დაივიწყებ, რომ შენც ამათი ჯიშისა ხარ.

**ვაჟა** – მე რა შუაში ვარ?

**სამძიმარი** – იმ შუაში, რომ აკაკის დასაფლავებას არ დასწრებიხარ! და იმიტომ, რომ ენა დაგიწუნა!

**ვაჟა** – ჭორებს ნუ აჰყვები, ხელ-სამძიმარო! იცი, მიხეილ ლობჯანიძეს მე რა მივწერე?

**სამძიმარი** – არ ვიცი, მაგრამ ახლავე ვნახავ. *(ჯიბიდან ფურცელს ამოიღებს და კითხულობს)* ძმაო მიშა! აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოვო – მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო: ჩვენის მოღვაწეების დამარხვაში ქართველები დიდს ნიჭს და უნარს ვიჩენთ, მხოლოდ სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენო. ჩემთვის, მაგალითად, დასაკრძალავი ალაგი, ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დაინიშნა და შემოიფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ იცის. ასეა, რა გაეწყო, ყველაფერს დრო და გამოცდილება უშველის და გაასწორებს მრუდედ ნაჩორგნს

საქმეს... მშვიდობით და გამარჯვებით იმყოფებოდე. შენი პატივისმცემელი, ვაჟა. 1915 წლის 15 მაისი.

**ვაჟა** – ჰოდა, ენებს ნუ აპყვებით ნურავინა! მე რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი? მე ვაჟა-ფშაველა ვარ, ის კიდევ აკაკია!

**სამძიმარი** – მარტო აკაკი კი არა, ყველა ესენი ხომ ცივი ხალხია და თბილი სიტყვები კი იციან!.. ესენი ჭორებითა და უყურადღებობით გკლავენ, ვაჟავ!

*(ისევ ისმის მგლის ყბუილი.)*

*ვაჟა კბილებით ღრღნის ხეს და ფეხებით მიწას თხრის. მერე მადლა კლაპარაკება ვიღაცას).*

**ვაჟა** – ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძდე. ნუ მომკლავ შიმშილით! შენი გაჩენილი ვარ და დამარჩინე, უფალო!

**სამძიმარი** – მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია შენი თხოვნა, დაგვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამოდ ჩაუვლია შენს თხოვნა-ვედრებას, სამდურავი გამოგიცხადებია ღვთისთვის.

**ვაჟა** – შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი, რა ხარ. არ იცი შეწყნარება. არ იცი სიბრალული. გევედრები, არ მისმენ. შეგიძლიან, აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა. რა დავაშავე? მითხარი, რა დავაშავე? რა ცოდვა მოვიმოქმედე?

**სამძიმარი** – თუმცა ორივე თვალი ცისკენ გაქვს აღმართული, ერთით მაინც აღმაცურად იცქირები. ან ლუკმა არ ამცდეს, ან მტრის მსხვერპლი არ გაუხდეთ. დღესაც დაღონებული წევხარ უდაბურ ტყეში. რას ფიქრობ, შე ბენავო ცხოველო?

**ვაჟა** – ღმერთო, რად გამაჩინე მგლად! რად ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რადა ვარ სისხლით გაუმაძღარი? ათასს სულ ცხვარს ერთ ღამეში თავებს გავბაღთავ, განა ერთი არ მეყოფა?! რად მიყვარს ხორცის ჭამა და სისხლის სმა?! რატომ არა ვარ შეველი ან ირემი, თუნდ ბენავი კურდღელი? კურდღლობა მე არ შემიძლიან. არც ირმობა, არც შვლობა. ჩემი ბუნება სულ სხვაა. ეშმაკი მიზის გულში და მიჩინხინებს.

**სამძიმარი** – გააფუჭე! წაახდინე! აგებული დაშაღე, ცოცხალი მოკალი, შთანთქი, შაყლაპე! რაც შეიძლო, ბევრი სისხლი დაანთხიე!.. ნუ დაჰზოგავ ნურავის, რასაც კბილი და კლანჭი მისწვდება! თესე ქვეყანაზე ვაება, ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი.

**ვაჟა** – ახ!.. არ მინდა გავისხენო ჩემი ცოდვები... ახ!.. ღმერთო, ღმერთო! შე დალოცვილო! რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგჩინივარ! რას ვაკეთებ? არაფერს, ცოდვის მეტს... არ შემიძლია განა ბალახი ვძოვო და ისე ვიცოცხლო? სისხლის მაგიერ წყალი ვსვა? ყველგან შიშსა ვთესავ. ყველა მემტერება. ზოგი, ვისაც ხელის შემობრუნება არ შეუძლიან, გამირბის. ვისაც თოფი და ტყვია-წამალი აქვს და გული ერჩის, სასიკვდილოდ არა მზოგავს... ოოხ! არა, არა! არა ღირდა ჩემი გაჩენა... მგლობამ უბედურების მეტი სხვა არაფერი მომიტანა. რა მქვია მე?

**სამძიმარი** – უვარგისს, უმსგავსს სახელს ატარებ...

**ვაჟა** – გასქდი დედამიწავ და თან ჩამიტანე! ფუჰ! ჩვენ როცა გეშინ, ერთმანეთსაც კი ვჭამთ. თვით ჩემი დედა და ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც იქნება... (პაუზა). ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემი თვისის და ტომის საგლეჯ-საწეწი შევიქმნა ოდესმე. მითხრით, მირჩიეთ, რა ვქნა? საით, როგორ დავახწიო თავი ამ მგლურ ბუნებას, ამ წყეულს, ამ შეჩვენებულ წადილთა და გრძნობა-მისწრაფებათა ხროვას?... ეჰ! (კბილებს აკრატუნებს).

**სამძიმარი** – (ფრთებივით იქნევს ხელებს) კრიი... კრიი! (თავს აკანტურებს) საწყალო! საწ-ყა-ლო! ხა-ხა-ხა! (აქეთ-იქით დახტის, ცელქობს) უყურეთ მგელს! ვინ მგელი, ვინ ეგ სიტყვები? ღმერთო, ამას რას მოვესწარი, მიკვირს და გამკვირვებია.

**ნინო** – არა სტყუის!

**მინანი** – იტყუება!

**შიო** – გულწრფელად ამბობს!

**ანიკო** – ცრუობს!

**სამძიმარი** – რადა სცრუობ, ვის ატყუებ? კრიი... კრიი! შენ, იქნებ, ავადა ხარ? ან მოხუცდი და აღარ ძალგიდს მგლური ნავარდი და მიტომ მოინდომე გადასხვაგება? გინდა – იმ ერთ ადამიანივით, სამოცდაათი წელი რომ გარყვნილებაში გაატარა და როცა ყოველი ძალა და ჯანი გამოეღია გარყვნილების მასაზრდოებელი, მაშინ შედგა სულის მოსაგებად, – შენც სული მოიგო?... კრიი... კრიი!

**ვაჟა** – ეჰ, ყორანო, შენ რა იცი ამ ქვეყნისა?! (ხელს აუქნევს).

*(ისმის მგლების ყმუილი: ჯერ ნინო დაიწყებს, მერე აჰყვებიან: სანდალა, შიო, მინანი და ანიკო).*

**სამძიმარი** – (ყორანის ფრთებივით იქნევს ხელებს) კრიი... კრიი... წამოდი, ერთს კურუმ გორახედ მგლის ჯოგი გროვდება!..

*(ვაჟა მიდის წრეზე დამდგარ მგლებთან).*

**შიო** – ამაღამ სოფელს უნდა ვესტუმროთ.

**სანდალა** – ესაა ჩვენი ფიქრი და განზრახვა.

**ანიკო** – ტყეში აღარაფერია საჭმელი.

**მინანი** – ერთი კვირაა, მშიერი დავლასლასებ.

*(კბილებს აკაწკაწებენ. ერთმანეთს ათვალიერებენ).*

**სანდალა** – ეს რა წვეთია, ტოტიავ, შენს ფეხზე?

**შიო** – (დააკვირდება) წითელი წვეთი!

**ანიკო** – სისხლი?!

**ნინო** – ჰა?

**მინანი** – სისხლი! (იღრინება).

**ვაჟა** – სისხლი კი არა, დორბლია... დორბლი!

**სამძიმარი** – ამათ უნდათ, სისხლი შენიშნონ თანამოძმის ტანზე, რომ ამით საბუთი ჰქონდეთ და ეძგერონ, ლუკმა-ლუკმა გაგლიჯონ!.. რომელ ერთს გეყოფათ ერთი მგელი?..

**შიო** – ცოტათ მაინც შიმშილს მოვიკლავთ!

**ვაჟა** – კარგი დრო გვიდგა, კარგი, ბიჭებო!

**ნინო** – როგორ ბნელა!

**ანიკო** – აბა, ვისაც იმედი აქვს თავისა, ეხლა უნდა ეცადოს.

**სანდალა** – ოღონდაც, ოღონდაც!

**მინანი** – თუ სხვას ვერაფერს მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ.

**ანიკო** – ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრებთ, მე გამოვიტყუებ „ქედანა“ ძაღლსა. გაუთამაშებ. ჩაუკვდებ-მოუკვდები. შემოგადებთ ზედ და მაშინ თქვენ იცით, როგორ გაირჯებით!

**ვაჟა** – რა შვილებმა არ ვიცით, როგორ უნდა ჭამა ლეშისა?! *(იცინის)*.

*(იცინიან სხვა მგლებიც, აკვებსებენ კბილებს.*

*მერე წინ წაუძღვებათ ვაჟა, წრეს დაარტყამენ.*

*ამ დროს აღმოსავლეთით შუქი მატულობს.*

*მთვარე წვერს ამოჭყოფს).*

**მინანი** – ამოდის, ნათდება!

**ანიკო** – *(მთვარეს)* გაგისმეს ფეხი!

**შიო** – *(მთვარეს)* გაგიწერეს ღმერთი!

**ნინო** – *(მთვარეს)* ვაი შენა და შენი გაჩენის დღეს!

**სანდალა** – ახ, ნეტავ ხელში ჩაგვაგდებინა, შეგვაჭამა, რომ მოგვესპო მაგისტვის სიცოცხლე!

**ვაჟა** – *(მთვარეს)* ბევრჯერ მომიკალ გული! ბევრჯერ დამადონე, შე წყეულო! შე შეჩვენებულო! ბევრჯერ დამადონე! გამიმწარე სიცოცხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯერ შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი. მთელ ორ კვირას დავუმშვენებივარ ამ სისხლსა და ჩემ ტანზე მისი დანახვით სიყმაწვილის ჟინი მომიკლავს. ნეტავი, მთვარევ, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი ბასრი კბილი! ნეტა შენის სისხლით დაემშვენებინა მხარ-ბეჭი და თითები ლეგ-ჩოხა ბიჭს, ტოტიას!

*(მთვარეს უყმუიან დანარჩენი მგლებიც.*

*მთვარე ამოდის, ანათებს გარემოს).*

**სამძიმარი** – კრიი... კრიი... გაცუდდა ყოველი იმედი დავლისა, თარეშისა.

დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნან? იმედი გადაუწყდათ. სასოება დაჰკარგეს.

*(პაუზა)*. ერთმანეთსლა დაუწყეს თვალიერება. *(პაუზა)*. ფიქრობენ. არჩევენ...

*(პაუზა)* ვინ არის ჩვენში სახარჯო, შესაჭმელიო. ერთი მზად არის,

მეორეს ეძგეროს და შუაზე გაგლიჯოს.

**ანიკო** – *(ხელს წაჰკრავს ვაჟას)* ტოტიავ, ჰეი, არ გესმის?

**შიო** – რას გარინდებულხარ?

სანდალა – ვერა ხედავ, რა ამბავია?!

ნინო – ვიღუპებით შიმშილით.

მინანი – ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა!

შიო – რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? *(თათს დაჰკრავს)*.

ვაჟა – *(წყრომით)* რას სჩადი, შე ბრიყვო! შე გაუზრდელო ვირო?

სანდალა – *(იღრიალებს)* ჰოდა, რა?!

ნინო – ძალიან კარგად გიშვრება!

ანიკო – შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა!

ნინო – კბილი გაუსვით მაგას, კბილი!

შიო – ეს სინათლე სულ მაგის ბრალია!

*(ყველანი მიესხებიან ვაჟას, კბილებს ჩასჭიდებენ).*

ვაჟა – ბიჭო, ჭკვიანად! ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო! *(ულრენს ხან ერთს, ხან მეორეს)*.

სამძიმარი – კრიი... კრიი... ერთ წამში გათავდა ტოტის სიცოცხლე.

ვაჟა – ლეშთან ერთად გათავდა მისი სულიც.

შიო – ბეწვიც კი არსად ეგდო მისი მრავლტანჯულის ტყავისა.

ნინო – ოდნავ თუ სადმე ნასისხლარს შეამჩნევდით, ეგ იყო...

სამძიმარი – მგლებს ცოტა გული დაუმშვიდდათ, თორემ კიდევ შიოდათ.

*(მგლები ერთმანეთს უყურებენ ეჭვით).*

ნინო – *(თავისთვის)* ახლა მე არ შემჭამონ!

შიო – *(თავისთვის)* ახლა მე არ შემჭამონ!

ანიკო – *(თავისთვის)* ახლა მე არ შემჭამონ!

სანდალა – *(თავისთვის)* ახლა მე არ შემჭამონ!

*(მთვარე სრულად ამოვიდა, ნათლად კაშკაშებს).*

ნინო – განათდა!

შიო – განათდა!

ანიკო – განათდა!

სანდალა – განათდა!

*(გარბიან აქეთ-იქით).*

სამძიმარი – კრი... კრიი... *(გახარებული დახტის აქეთ-იქით და ცდილობს სისხლი აკენკოს ნისკარტით)*.

#### 4. ბიჭვარდეთი მტერნი თჰვენნი

*(ბერი გიორგი თიბვას იწყებს, ღონივრად მოიქნევს ხოლმე ცეკს და ცელი წივილით ჭრის ბაღახს).*

**სამძიმარი** – ვითომ მართლა განათდა, ვაჟავ, არა?

**ვაჟა** – ჰოო... *(რალაც ხმაურს უსმენს)* თოფი მოიტა, ჩქარა!

**სამძიმარი** – მერე თუ განათდა, ვერ დაინახე?

**ვაჟა** – რას მიედ-მოედები, ქალავ! თოფი მომეცი – მეთქი!

**სამძიმარი** – ტოტია მგლის ამბავი მარტო მგლებზე ხომ არ დაგიწერია?..

*(პაუზა)* აი, ესენი არიან... ამას გეუბნებოდი...

**ვაჟა** – თოფი, ადამიანო! თოფი! თორღო წაასხეს ცხენები... და ჩემი ფრთიანიცა!

**სამძიმარი** – აჰა, დაიჭი შენი ხირიმი! *(თოფს აძლევს).*

*(უკვე ვარკვევით ისმის სცენების ფლოქების თქარუნი.*

*სცენაზე შემოდის სანდალა და შიო, ბოხოხები ახურავთ თავებზე.*

*ვაჟა თოფს უმიზნებს და გაისვრის.*

*სანდალას ტყვიის დარტყმის ძალა უკან გადაავდებს, ქუდს წააძრობს და ძირს დასცემს.*

*შიო ძირს დავარდნილს ეურს დაადებს გულზე, – ნახავს, რომ მკვდარია, ლოდს ამოეფარება და იქიდან უპირებს თოფის სროლას).*

**შიო** – *(ესვრის თოფს ვაჟას. ტყვია მალლა წავა, კლდეებს ჩამოშლის და ვაჟას ნაშალი დააცვივდება)* არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?!

**ვაჟა** – ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო!

**სამძიმარი** – გუდანის ჯვრის ყმა ვარ თქო!

**ვაჟა** – გუდანის ჯვრის ყმა ვარ! *(დაიჭექებს ვაჟას თოფი ისევ)* არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო?

**შიო** – მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო! ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა... *(ესვრის).*

**ვაჟა** – *(ვაჟას ქუდი გადაუვარდება თავიდან. ქუდთან სამძიმარი მიიბრუნს და ვაჟას მიუტანს)* ოჰო, ქუდ გაუხვრეტია!

**სამძიმარი** – *(ვაჟას თავზე მიუთითებს)* წვერებსა სტუსავს თმისასა.

**ვაჟა** – *(თოფს გატენის კიდე და ესვრის)* აბა?!

**შიო** – მალლა დაგიცდა, ბეჩავო! *(თან თოფს უმიძნებს ისევ)* კენჩხას არა სჭირს ძვლისასა *(ესვრის ვაჟას).*

**ვაჟა** – *(ტყვია რქის საპირისწამლეს გაუტეხავს)* ავაჰმე!..

**შიო** – არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?!

**ვაჟა** – არა მჭირს, არა, რჯულ-ძაღლო!

**სამძიმარი** – გუდანის ჯვრის ყმასა-თქო!

**ვაჟა** – გუდანის ჯვრის ყმასა!

**შიო** – მოგხვდებოდა, რაკი გუდანის ჯვარს ახსენებ!

**ვაჟა** – წამლის ქისა გამიტეხა შენმა ტყვიამა, გულს ასცდა, რჯულძაღლო! *(თოფს ტენის).*

**სამძიმარი** – თუ სროლაზე მიდგება საქმე, მტრის ჯავრს არც მე შავჭამ-  
თქო!

**ვაჟა** – თუ სროლაზე მიდგება საქმე, მტრის ჯავრს არც მე შავჭამ!  
*(ესვრის თოფს და რაკი ხელავს, რომ შიო გულზე იტაცებს ხელს და  
დაეცემა, დაუყვირებს).* არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?!

**შიო** – გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო!.. *(ბარბაცებს)* ვაჰ, ცდასა  
მუცალისასა! ძმაც ხო მამიკალ, მეც მამიკალ!.. რა ვუთხრა მადლსა  
ღვთისასა? *(მუცალი ბაღახს დაგლეჯს, წელულში ჩაიდებს. ერთსაც  
ესვრის აღუდას აკანკალებული ხელებით. და რაკი ააცდენს, თოფს  
გადაუგდებს)* ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო! ხელს არ ჩავარდეს  
სხვისასა... *(სიტყვა გაუწყდება და ძირს დაეცემა).*

**სამძიმარი** – აგრე უნდა მაგასა! აგრე!

**ვაჟა** – *(პაუზის შემდეგ, სამძიმარს)* თავიდან მამწყდი, მაცილო!

*(სამძიმარი მოშორებით გადის და იქიდან აკვირდება ინტერესით. ვაჟა  
თავდახრილი დგას. ფიქრობს. ცრემლები ჩამოსდის თვალებიდან. მკლავით  
იქმენდს. მივა მკვდართან).*

**სამძიმარი** – არც თოფი მოგაქვს, არც ხმალ-ხანჯალი?

**ვაჟა** – აღუდას იარაღებ არ უნდან! არა!

**სამძიმარი** – მარჯვენას მაინც არ მასჭრი?!

**ვაჟა** – ცოდო ას, ცოდო!

**სამძიმარი** – ეს არის ცოდო?!

**ვაჟა** – თავიდან მამწყდი მეთქი, დედაკაცო! თავიდანა! *(დაიხრება, ქვას  
ესვრის)* შენ რაი იცი ცოდვა-ბრალისა!..

**სამძიმარი** – *(ქვა ფეხში მოხვედბა, კოჭლობს)* კისერს რო წაიტეხავ, მემრე  
მიხვდები, რო მარჯვენა უნდა მაგეჭრა! *(მიდის).*

**ვაჟა** – ვაჟკაცო... ღმერთმა გაცხონოს... შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,  
ნუმც ხარობს ქავის კარი!.. *(ნაბადს დაახურავს, ფარ-ხმალს და თოფს  
დაადებს ხეშოდან).*

**სამძიმარი** – კრიი... კრიი... *(მოფრინდება ყორანივით)* მამკვდარა ქისტო  
მუცალი, თვალები უნდა ვჭამო იმისი! კრიი... კრიი... გულ-ღვიძლიც  
ამოვარიდო!..

*(წრეზე დაუდგებიან დანარჩენები და ვაჟას ეჩხუბებიან).*

**ნინო** – მოკვდი, სიკვდილი გირჩვენავ!

**მინანი** – აიხსენ გველის-პირული, დიაცთ გადუგდე ცხემლად!

**ანიკო** – ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად, ხირიმ – გაუდვან გარადა!

**სანდალა** – დამბაჩა გამოადგებისთ საბრუნლად, თითისტარადა!

**მინანი** – გამოჰქცევინარ ქისტოშვილს, გადუქცევინარ ქალადა!

**ყველანი** – *(ზურგს შეაქცევენ ვაჟას)* მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკვე  
მისდევდი მა რადა?!



*(მიცვალებულის გარშემო დადგებიან. სცენა ნათდება სისხლისფრად, რადგან ეს ალუდა ქეთელაურის სიზმარია. ვაჟა ტირის. მივა შიო (მუცალი) და ხანჯალს ჩაუდებს ხელში).*

**შიო** – მინდა სიკვდილი, არ ვკვდები!.. *(ხვეწნით)* მამკალი!.. მიდი, მამკალი!

**ვაჟა** – რად უნდა მოგკლა?

**შიო** – თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა... დაძვებით, ხეესურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა!

*(ვაჟა დაჯდება სუფრასთან, რომელსაც უსხედან შიო და სანდალა. მოდის სამძიმარი და ჯამს დაუდგამს წინ).*

**ვაჟა** – *(ვაჭირვებით ჭამს, ჩურჩულთ)* მზარავს, მზარავს ეს კაცის ხელფეხი...

**შიო** – *(ყვირის)* ძმის ხორცი როგორა ვჭამო?!

**ვაჟა** – ამას რას ვაკეთებ, რას?

**სანდალა** – *(ყვირის)* ძმის ხორცი როგორა ვჭამო?!

**ვაჟა** – უმსგავსი ვარ და შახვენებული!..

**სამძიმარი** – ჭამე! ჭამე! ჭამე!.. კრიი... კრიი... რამ გაგაშტერა?! *(პაუზა)* კიდევ მიმირთვით ალუდას კაცის წვენი-ხორცი გაცხელებული!..

*(კიდევ დაუმატებენ კაცის ხორცს ჯამში.*

*წითელი განათება ჩაქრება.*

*შემოდის სანდალა.*

*მიუახლოვდება ვაჟა, საბელით კურატი მოჰყავს და სანდალას აწვდის თოკს).*

**სანდალა** – ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამ შავი კურატით? *(პაუზა)* მითხარ სახელი, ვის სწირავ, იმასამც შეაწირება! *(ხანჯალს ამოიღებს).*

**ვაჟა** – ეგ სამხვეწროა, ბერდიავ, ჩემგან მოკლულის ქისტისა... მუცალს ეტყოდენ სახელად... *(პაუზა)* კარგადაც დამიმწყალობნე, გამიმეტებავ მისთვინა... როგორც უნდომლად მოკლულის თავის ღამაზის ძმისთვინა.

**სანდალა** – გაურჯულებულს არჯულებ, შენ ეგ არ შავიხდებისა! გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა... რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია. ციკანიც არვის დაუკალ, განალამაც დიდი კურატი. როგორ ვახვეწო უფალსა ძაღლი, ძაღლების ჯიშისა? მანამ სჯობს, ცანი დამექცნენ, ზურგი გამისკდეს მიწისა, ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ, სადილი ვსჭამო ქვიშისა!

**ვაჟა** – ძღვენსა ნუ გამიმსუბუქებ, მეც ხომ ყმა ვარ გუდანის ჯვარისა!

**სანდალა** – ტყუილად სცდები, ალუდავ! ტყუილად იცვეთ პირსა!..

*(ამ დროს მოდის სამძიმარი და ვაჟას ხმაღს მიაწვდის).*

**სამძიმარი** – მაშინ შენ თავად შესწირე!

**მინანი** – საკლავის შეწირვის უფლება მხოლოდ ხელ-მხარ განათლულ ხევისბერსა აქვს, სხვას არავის!

**სამძიმარი** – და თუ ხევისბერი არა სწირავს?

**ვაჟა** – ვერ გაუგიათ, თორემ მე სხვა უამისას ვამბობ!..

**სამძიმარი** – მტერს მტრულად დაუხვდე, თავად უფალმა ბრძანაო, ამათ ჯერ მარტო ეს იცინან!..

**ვაჟა** – ჰოდა, ჩემიც გაიგონ! *(ხმაღს გამოართმევს სამძიმარს და თავს მოკვეთს მიყვანილ მოხვერს).*

**სანდალა** – რას სჩადი, რასა!

**ვაჟა** – *(დაიხოქებს)* შენ შამოგეხვეწები, ბატონო, აღლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსა!..

**სანდალა** – *(განრისხებული)* გაგონილაა, მოყმენო, ასრე აგდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს აღუდა, მამსხენე ქისტის სულისა!.. ხალხო, მინდარის გავიგო პასუხი თქვენის გულისა...

**ყველანი** – არ შაიძლებსა! არა!

**სანდალა** – ხევესურნო, წადით და უმტვრიეთ აღუდას ციხის კარები. ნუ დაინანებთ, დაწვით ყველაფერი, გამოირეკეთ ცხვარ-ძროხა, აუტირეთ ცოლ-შვილი... აღუდა მოკვეთილ იქნას თემიდან...

*(ისმის მტვრევის, ნგრევის და გუგუნის ხმები. ისმის ზარების რეკვის ხმა, რომელიც თანდათან გვშორდება.)*

*წინ ვაჟა მოდის და თოვლს მოჰკვალავს. უკან მოჰყვებიან მინანი, ნინო, ანიკო).*

**ანიკო** – კარგს ნურას ჰნახავთ, ხევესურნო!

*(ისმის ყვავ-ყორნების ჩხავილი).*

**ნინო** – ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო, ქვა-ქვაზე აღარ დგება... ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე ეხლა ყვავები სხდება...

**მინანი** – ნელა იარე, შვილო, ნელა... *(ისმის ბავშვების ტირილი)* ხელ-ფეხ დაგვიზრა...

**ნინო** – ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ, ვაჰმე, როგორა ბნელა!..

**მინანი** – ნეტავ, იმ წყეულ თემ-სოფელს აღარ დასჭირდები?

**ვაჟა** – დიაცნო, ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევლით! მოდით, მამყევით, ვიდინოთ, ღმერთმა ეს გვარგუნა ბედად...

**მინანი** – ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო, კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!

**ვაჟა** – მშვიდობით, საჯიხვეებო, გამახარელნო თვალისა! მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო, გულში ამშლელო ბრალისა! მშვიდობით, ჩვენო ბატონო, ყმათად მიმცემო ძალისა!

**სამძიმარი** – დაიცა, ვაჟავ! დაიცა!.. რას ერჩოდა აღუდა ამ გამწარებულ ქალებს, რატომ არ უნდა დაეწყევლათ თემი და ჯვარი? განა იმათ არ მოიკვეთეს?

**ვაჟა** – ჯვარს უნებურად აწყენინა ალუდამ, ხევისბერის მაგივრად რომ შესწირა კურატი... თავისი აღმოჩენილი დიდი სიმართლე ამნაირად გააცხადა ჯვარის კარზე...

**სამძიმარი** – რომელ დიდ სიმართლეზე მელაპარაკები?!

**ვაჟა** – ხომ ბრძანა მახარებელმა მათემ: "ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყუარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ".

**სამძიმარი** – ეჰ, არ გამოვიდა მაგ შენი ალუდასგან რევოლუციონერი!.. მაინც მღვდლის შვილი ხარ, ლუკავ, მაინცა!

**ვაჟა** – ამბობება და რევოლუცია ხელოვნებაშია კარგი, თორემ ცხოვრებაში ყველა რევოლუციონერი ეშმაკის კერძია, ხელ-სამძიმარო და... მე და ალუდა კიდევ საკუთარი ღერძის ირგვლივ ვტრიალებთ!..

**სამძიმარი** – ჰოდა, რაც მაგით მოიგოთ, წილი არავის ჩაუდოთ!..

## 5. უხილავი არის მამარი

*(ისმის დგანდგარი.*

*შემოდის მინანი და ღიმილით უყურებს ვაჟას).*

**მინანი** – *(ამბობს ვაჟას დედის, გულქან ფხიკლეშვილის სიტყვებს)* ჯერ ისევ ქალი ვიყავ გასათხოვარი. მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სოფელ სხლოვანს, გარეთ, დერეფანში გვეძინა. შუალამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდენიალი დადგა ისეთი, მეგონა, მთა-ბარი თუ იქცევა – მეთქი. შაშინებული წამოვჯე ლოგინში. გავხედე და მთელი ცა განათებული იყო *(სცენა ნათდება)*. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული: ერთი ჭიაურის ტყიდან, მეორე - სხლოვანის გორითა. გადაბმულები. ზედ ცეცხლის ბაღლები ადიოდნენ და ჩამოდოდნენ, და ისეთ მწკეპრ ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად, – ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყური.

*(ისმის ვალობა, შემოდინ პატარა ბავშვები, თეთრი სამოსით.*

*კოჭლობით შემოირბენს სამძიმარი, მათრახს იქნევს წივილ-წივილით და სულ სიცილ-კისკისით მიერეკება ამ ბავშვებს).*

**ვაჟა** – რა ერჩი, სად რას მიერეკები, სამძიმარო, სადა?

**სამძიმარი** – *(ძირს დაავდებს მათრახს)* ახლა ზღაპრების დროა, ლუკავ?!

**ვაჟა** – ზღაპარი კი არა, ეს დედაჩემის ხილვა იყო, ჩემი გაჩენის წინ ნახა.

**სამძიმარი** – *(ბავშვებს გარეკავს)* ჰო, ვიცით, რომ კარგი ზღაპრების მოყოლა იცოდა ფხიკლეთ გულქანმა!

**ვაჟა** – ეს ხილვა მეც მინახავს...

**სამძიმარი** – გაჩერდი, ლუკავ!.. შენ თვალებზე თმა გქონდა ჩამოფარებული და რა უნდა დაგენახა?

**მინანი** – თმა იმიტომ ჰქონდა ჩამოფარებული, რომ ქუდბედიანი გაჩენილა...

**ვაჟა** – ქუდბედიანი დავლათიანსა და ნაწილიანს ნიშნავს, მაგრამ ვიყავი კი?

**სამძიმარი** – *(ირონიულად)* ქუდბედიანი რომ არ ყოფილიყავი, მარჯვენა თვალზე ციმბირის წყლული კი არ გაგიჩნდებოდა!

**მინანი** – *(შვეტარიანი დანით ნახშირს ფხვნის წყლიან ჯამში და თან “ბედნიერის”, იგივე ციმბირის წყლულის ლოცვას ამბობს)*

ბედო, ბედო, ბედნიერო,  
სახეტურვა შვენიანო,  
მოჰქრიდი ქარებულადა,  
მოჰნამავ ნამებურადა,  
მოეფინები ვერცხლებურადა.  
აჰა, უფალო, სახელი შენი,  
ვიმალეობდე ვაჟის ქოჩორში,  
ქალის ძუძუნი, ხარისა მკერდნი.  
გამოდი, თორო გამოგიყვან  
დანითა ტარშავიანითა.  
ზღვა ჩქეფით გამოვიარე,  
ვერამ ხორციელმა ვერ მიცნო,  
თუ შენ არ მიცან,  
ქრისტე ღმერთმა,  
ჩვენ საით გიცნოთ, ხორციელთა.  
ბევრ შვილი, ბევრი ღრიმესა,  
ვერ გავიგონებ მამლის ყივილსა,  
ხარის ყვირილსა.  
გამოდი, თორო გამოგიყვან  
დანითა ტარშავითა.  
წამალს ვკითხულობ,  
წამლადამც გერგება  
მამლისა ჩივი,  
ლიკისა ფქვილი,  
უცეცხლო თაფლი.

**სამძიმარი** – *(ეცინება)* შეულოცე, შეულოცე, ძალიან არ უშველო!

**ვაჟა** – ეეჰ, ლუკავ, ლუკავ, შე ბეჩავო და უკლო-უბედო, კარგუნახავიმც დაიკარგები!..

**სამძიმარი** – ქუდბედიანი რომ არ ყოფილიყავი, ეგეთი კაი ღვინო ხომ არ გექნებოდა?

**ვაჟა** – ამასა ქოსები მიგზავნიან!.. *(პაუზა)* ღვინო რა შუაშია?

**სამძიმარი** – იმ შენი თვალებზე ჩამოშლილი თმისა და ამპარტანობის ბრაღია, ამას რომ ვერა ხედავ... *(უთითებს ანიკოზე).*

*(ანიკო ჩუმად მოიპარება. თან სამძიმარი წამოყვება და აქეზებს).*

**სამძიმარი** – მიდი, მიდი!..

*(ანიკო ერთ ბოთლს გახსნის, დაეხოსავს, ესიაძოვნება წითელი ღვინის სურნელი. მერე ჯიბიდან პატარა ჭიქას ამოიღებს, დაისხამს. კარზე კაკუნია).*

**სამძიმარი** – ჩქარა, ვიღაც მოვიდა!

**ანიკო** – ახლავე! *(ღვინოს გადაჰკრავს. ბოთლს ისევ თავს დაუცობს, ტუმბოს გვერდით დადგამს და ავადმყოფის ჩანაწერების რვეულს აიღებს)* მობრძანდით!

*(კარი იღება, შემოდის მხატვარი ბერეტი, რომელსაც შიო თამაშობს).*

**ანიკო** – დილით: ტემპერატურა – 36, 6. მაჯისცემა – 100. სუნთქვა – 32.

**შიო** – გამარჯობა!

**ანიკო** – გაგიმარჯოს! *(განავრძობს)* შუადღით: ტემპერატურა – 36, 5.

მაჯისცემა – 92. სუნთქვა – 24.

**შიო** – ეს კარგია მერე?

**ანიკო** – არა უშავს!..

**შიო** – ვაჟას ჯანმრთელობის შესამოწმებლად ექიმებს კონსილიუმი უნდა ჰქონოდათ გუშინ და რა თქვეს?

**ანიკო** – *(ჩანაწერების რვეულს გადაშლის, კითხულობს)* დასკვნა: საშიში არა არის რა. სიცხე დაკლებული აქვს და შედარებით უკეთ გრძნობს თავს.

**შიო** – ძალიან მიხარია!

**ვაჟა** – *(გამოიღვიძებს, შიოს)* თქვენ ვინ ბრძანდებით?

**შიო** – (ბარათს გაუწვდის ანიკოს) ეს წაიკითხეთ.

**ანიკო** – ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“. რედაქცია და კანტორა. 22 თიბათე, 1915 წელი. ქალაქი თბილისი. *(პაუზა)* ძმაო, ვაჟა! ამ ბარათის მომტანი ჩვენი მხატვარია, თავადი ვალერიან სიღამონ-ერისთავი. რედაქციის კოლეგიამ მიანდო თქვენი სურათის დახატვა. იმედია, შეწუხებას გვაპატივებთ და ჩვენს მხატვარს ნებას დართავთ, რათა „საქართველოსათვის“ თქვენი სურათი გადაიღოს. კოლეგიის მინდობილობით, სანდრო შანშიაშვილი.

**ვაჟა** – შენ მეორე ქიზიყელ გარდანქეშანს გამოუგზავნიხარ და უარს როგორ გეტყვი!

**შიო** – დიდი მადლობა! სულ ათი-თხუთმეტი წუთი დამჭირდება! *(მხრიდან მოლბერტს მოიხსნის, გაშლის და ფურცლის დამავრებას შეუდგება).*

**ანიკო** – პირველი გარდანქეშანი რომელია, ბატონო ვაჟა?

**ვაჟა** – პირველი ქიზიყელი გარდანქეშანი იროდიონ ევლოშვილია, რად უნდა ლაპარაკი. არ გაიკვირვოთ, რომ ორივე გარდანქეშანი ქიზიყელია... ეგენიც ხომ მონაპირეები და უბატონოები იყვნენ ჩვენსავითა და ლაღები არიან ძალიანა...

**შიო** – თუ არ შეგაწუხებთ, იქნებ, წამოჯდეთ საწოლზე?

**ვაჟა** – კარგი, მაგასაც დაგიჯერებ... *(ცდილობს წამოჯდომას, მაგრამ ძალა აღარ აქვს და ვერ ახერხებს).*

**ანიკო** – მოგეხმარებით!

*(ამ დროს სანდალა და მინანი შემოვლენ და ისინი მიეხმარებიან ვაჟს საწოლზე წამოჭდომაში).*

**ვაჟა** – ბალიშიც გამისწორეთ! წყალი დამალევენეთ... *(მინანი გრაფინისკენ გაიწვდის ხელს).* არა, არა, ეს დასიცხული წყალი არ მინდა...

*(სანდალა წამოსწევს ვაჟს, შიო ბალიშს გაუსწორებს).*

**ვაჟა** – *(სანდალას)* ალექსანდრ პავლოვიჩ, შენა და შიო ილარიონოვიჩმა მამადავითის ეკლესიასთან, კლდეში რომ წყალი გამოდის, ის უნდა მომიტანოთ.

**სანდალა** – მოგიტანო, რატომაც არ მოგიტანო?

**ვაჟა** – კლდიდამ ნაჟონი წყალი მაინც სულ სხვაა და, რომ დავლევ, მთას თვალწინ დამიყენებს... *(წამოჭდარს ჩაეძინება).*

*(მხატვარი ამთავრებს ვაჟს დახატვას და სანამ მოლბერტს დაკეცავდეს, ანიკო შიგ იჭვრიტება. მხატვარი შეუტრიალდება).*

**ანიკო** – *(შიოს)* სადამოს: ტემპერატურა – 38, 0. მაჯისცემა – 120. სუნთქვა – 32.

*(მხატვარი მოლბერტს დაკეცავს და მიდის. შემოდის ნინო).*

**ნინო** – წერილი მოგივიდათ!

**ანიკო** – წაუკითხე.

**ნინო** – რომ სძინავს?

**ანიკო** – მაინც გაიგონებს...

**ნინო** – *(წერილს მინანს მისცემს)* შენ ხმას უფრო გაიგონებს!

**მინანი** – *(ღიმილით გადახედავს ნინოს და მერე წერილის კითხვას იწყებს)* ჩვენო სიქადულო და ძვირფასო ბ. ვაჟა-ფშაველა! ამას წინათ წავიკითხე, რომ თქვენ პლევრიტის გარდა ტყირპი გაქვთ. თუ შინაურ ექიმობას არ უარპყოფთ, სცადეთ აი, ეს უბრალო, მაგრამ მრავალჯერ ნაცადი წამალი. აიღეთ ერთი სტოლის-კოვზი დანაყილი ქვა-მარილი, ჩაპყარეთ ნახევარ ჭიქა ცივ წყალში, შემდეგ ღამე, პირველ მამლის ყვილს დაისველეთ ხელი ამ მარილწყალში და იზილეთ, ვიდრე ამ ლოცვას სამჯერ წაიკითხავდეთ. თუმცა მეცა ლოცვა არა მჯერა, მაგრამ, სჩანს, ამდენხანს უნდა ზელა ტყირპს:

„სამსა დღესა,

სამსა დილასა,

სამსა მამლისა ყვილსა,

ტყირპო,

სჭკნებოდე,

დნებოდე, -

ბრძანება არი ღვთისაო”.

*(პაუზის მერე)* შემდეგ დაისველეთ ხელი უცეცხლო თაფლში და ახლა იმით იზილეთ, ვიდრე ხელი კანზე დაგეკრობათ. ეს წამლობა ერთსავე და იგივე დროს სამჯერ გაიმეორეთ ზედიზედ. უნდა მოგახსენოთ, გიმეორებთ, არა ერთისათვის და ორისათვის ურგია ამ წამალს. *(პაუზა)* დრმა პატივისცემით და ჯანსაღობის სურვილით დავშთები დ. თ. კ. 1915 წლის 15 ივლისს.

**ვაჟა** – *(თავს წამოსწევს)* რაო, რაო, ვინაო?

**მინანი** – დ. თ. კ.

**ვაჟა** – აჰა!.. დ. თ. კ. - გასაგებია...

**სამძიმარი** – *(დამცინავად)* რა არის გასაგები?

**ვაჟა** – რა და, უხილავი არის მაგარი!..

**მინანი** – ჰო, ჰო... უხილავი არის მაგარი! *(ქადაგად დავარდება – თვალებს გადაატრიალებს, კრუნჩხვები მოუვლის და მერე იწყებს ლაპარაკს).*

უხილავი არის მაგარი,

ჩვენ კი გვიჭირს ხილულებსა...

შენ დიდება, ჩვენ – მშვიდობა,

გაიმარჯვე ძალიანა!

ისევ ის ძალა აღდგეს,

რაც კი იყვის უწინაცა.

ქვეყანა წადმ შამობრუნდეს,

ძველ ბილიკებ არ დაეკარგოთ...

მაშ, რაღა ვქნათ? უხილავი

დამჭერია ამ ქვეყნისა.

დიდ დიდება ზეციურსა,

გამარჯვება ამ მსმენელსა!

ოთხშაბათს და პარასკევსა

ხთიშვილთ პასუხ არ ჩამოდის,

მაგრამ რაკი გაგვიჭირდა,

პარასკევ დღემ აურია,

გაგვიჭირდა ძალიანა...

რაკი ბოროტ შამუარდა,

ცით პასუხიც ჩამოიდა.

არ იცითა, ხორციელნო,

რად გვებრძვიან უჩინარნი?!

ბრძანა მამა ზეციერმა:

დაითმინეთ პირი,

დაითმინეთ ხორცი,

არ გავტეხოთ უქმი,

შევინახოთ კვირა,

კვირა მადლიანი.

ხატი არ შევლახოთ,

ხატს არ შევცოდოთ

ხელ-მახვილითა, პირისქართა.

შაისმინეთ, ხორციელნო,  
ბრძანება მამა უფლისა.  
ღმერთს დიდება, ჩვენ – წყალობა,  
გაუმარჯოს კოპალასა!

**ვაჟა** – სანდრო შანშიაშვილის გამოგზავნილი მხატვარი რა იქნა, არ  
დამხატა?

*(მადლიდან ჩამოეშვება ვალერიან სიდამონ-ერისთავის დახატული ეტიუდი  
– „ვაჟა-ფშაველა ავადმყოფობისას“; ეს არის საწოლზე წამომჯდარი ვაჟა).*

**მინანი** – *(სინანულით)* ღანდილა დარჩი, ვაჟავ... ღამის უხილაგი ხარ...

**ვაჟა** – უხილაგი არის მაგარი...

## 6. **წიწოლა სოფელ სხლოვანიდან**

*(ვაჟა მარტო რჩება სცენაზე.  
კოჭლობით შემოდის სამძიმარი).*

**სამძიმარი** – კინალამ ფეხი მომტეხე!.. რა გინდოდა, რას მერჩოდი? რას?..

*(ტირის)* მე რომ არ მოგხმარებოდი, განა მახკლავდი იმ ურჯულო  
მუცალსა?! ჰა? ამოიდე ხმა! ანდა ის ხმალი რომ არ გამომეწოდებინა,  
მასჭრიდი იმ შესაწირ კურატს თავსა? ხო ვერ მასჭრიდი?

**ვაჟა** – *(დარცხვენით)* ვერა, ვერ მავჭრიდი!.. თავის მაჭრა და  
დამწყალობნება მარტო ხევისბერს შეუძლიან, სხვას არავის!.. შენ დაღუპე  
აღუდა, შენ ჩააგდე მრისხანების ცოდვაში!

**სამძიმარი** – თუკი ის ურჯულო გმირი ებრალებოდა აღუდას, რა ექნა,  
როგორ გაეტანა თავისი სიმართლე?..

**ვაჟა** – არც როგორ!.. ეთქვა, სიტყვა გადგედო ხალხშია და გაეგლო...  
მიმხვედრი მიხვდებოდა!

**სამძიმარი** – მგლები ხართ, მგლები! არც სიბრაღული იცით!.. არც  
სინანული!

**ვაჟა** – ნანობდა, განა არ ნანობდა აღუდა ქეთელაური?.. საკრამენტო! შენ  
გაუმრუდე გზა, სწორედ შენ, სულციცაიანო!..

**სამძიმარი** – მე ვარ სულციცაიანი? მე? შე დედ-მამა გადაძაღლებულო?  
გაგიწყრეს ლაშარის ჯვარი და თამარ დედუფალი! დანელდი და  
დაბუნდოვნდი! სიკეთესამც ნუ შეაყრები! ცით მეხდაცემულო! შავ ჭირით  
წადებულო! სკამ-კერაგადაციებულო! მექალ-რძლეო! სტუმარ შინ  
შაუყვანელო! შინ ჯალაფნ არას გკითხავენ, გარეთ - სოფელი! ჭირსამც  
ნუ მორჩები და გეენიასა!

**ვაჟა** – კარგი, ქალბნელო, შე მკვდარგადაციცაულო, კარგი, თავბრუ ნუ  
დამახვიე!

**სამძიმარი** – სკამ-კერაში ნარ-ეკალიმც ამოგივა! პირიმზე ფუძის  
ანგელოზმა დაგკრას სამვენო ლახტი!



**ვაჟა** – ლაშარის ჯვრის მადლმა, თუ არ გაჩერდები, ამ მუხაზე დაგასხმეინებ ტვინსა! ანდა რაის ტვინსა, სადა გაქვს ტვინი? უგონთ ხარ გარეული!

**სამძიმარი** – აგრემც მიშველის კვირა მადლიანი, სატიალეო, რომ ეგ შენი ალუდა არც აქეთ იყო და არც იქითა...

**ვაჟა** – აქეთ იყო, აქეთა! შენგან შორს და უფრო მინანისკენ! *(ეძახის)* მინანო! ჰაი, მინანო!

**მინანი** – *(შემოდის)* რა იყო, ვაჟავ?

**ვაჟა** – მინანო, იცნობ ამასა?

**მინანი** – *(შეათვალიერებს)* აბა, რაი ვიცი, ჭირიმც მოგპარე, თან ვცნობ, თან ვერა...

**სამძიმარი** – მე სუყველგან ხელი მირევია! სუყველგანა!..

**მინანი** – ვაი, შე ბეჩავო შენა! რომ მაჰკვეხ, აბა, ერთი მიბრძანე...

**სამძიმარი** – *(გააწვევტინებს)* აი, სწორედ აეს გადარეულიდა მაკლდა! მომიყვანა ბახტრიონ-ციხის მცველადა!..

**მინანი** – აქიმ-დედუფლის მადლმა, აბა, სთქვი, შენ რა ხელი გაქვს ბახტრიონთანა? *(ვაჟას)* შენ რაღას გაჩუმიდებულხარ, ლუკავ? ხმა ამოიღე! აგრემც დამიტირებ! ლელა და კვირია გაიხსენე...

**ვაჟა** – მე ბერ ლუხუმზე ვფიქრობ, გველმა ლოკვით რომ მოურჩინა ჭრილობა...

**სანდალა** – ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმაღავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა ჰგულისხმობ, “ბახტრიონში” რომ ამბობ, ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა?

**ვაჟა** – იქნება ვგულისხმობდე კიდევ...

**სანდალა** – სწორედ საქართველოს თავისუფლებაზე ნათქვამი, სწორედა!

**სამძიმარი** – წიწოლა არ დაგავიწყდეთ, წიწოლა... აგერ, უყურე, რას სჩადის!

*(სცენაზე შემოდის შიო, ხელში თოკი უჭირავს. დაფიქრდება. მერე მარჯუხს გააკეთებს და თოკის მეორე ბოლოს ხეზე დაჰკიდებს. ყულფის ქვეშ კუნძს მოავორებს და ზედ დადგება).*

**მინანი** – ეგ არ გაჰბედო, წიწოლაავ! წერა მოგხადე! მაგაზე დიდი ცოდვა აღარც არსებობს მზისქვეშეთში!

**სამძიმარი** – მიდი, წიწოლაავ, მიდი! სხვა გამოსავალი არა გაქვს და ამ თახსირ ცხოვრებას მაგ ყულფით უნდა გაექცე!

**მინანი** – ცოტა ხნით მაინც დაფიქრდი, რას სჩადი, წიწოლაავ!..

**სამძიმარი** – არ დაუჯერო– მეთქი, წიწოლაავ! მაგას დიდი ფიქრი არა სჭირდება!.. გაჰკარი მაგ კუნძს ფეხი და დაისვენებ ამ ფუჭი და ამოო ცხოვრებისაგან!.. ერთხელ და სამუდამოდ დაისვენებ!..

**მინანი** – არა, არა! არ გაჰბედო– მეთქი!

**სამძიმარი** – *(წამოდგება, მიდის წიწოლას კუნძთან, რომ ფეხი გაჰკრას)* მე მოგეშველები!

**მინანი** – *(დაედევნება სამძიმარს)* ახლო არ მისვიდე, თორთ თამარ-მეფის მადლმა, თავად შენ მაგკლავ!

*(კუნძისკენ მიმავალ გზაზე ჩხუბს გამართავენ სამძიმარი და მინანი, ჭიდაობენ და ძირს დაეცემიან.  
ვაჟა წამოდგება, მივა და წიწოლას კუნძს ფეხს გაჰკრავს.  
წიწოლა ჩამოეკიდება და იხრჩობა. ისმის ხრიალი. ამ ხმაზე მინანი და სამძიმარი ჩხუბს შეწყვეტენ, წამოჯდებიან და ჩამოხრჩობილს უყურებენ).*

**მინანი** – ეგ რადა ჰქენი, ლუკავ, აგრემც დამიტირებ?

**სამძიმარი** – ძალიან კარგადაც მოიქცა!

**მინანი** – იქნებ გადაეფიქრებინა...

**ვაჟა** – მაგას ველარაინ უშველიდა... ომიდან გამოქცეული და თავშერცხვნილი კაცის წერა ეს არის...

**მინანი** – *(წიწოლას დედაა და მოთქმით ტირის)*. შვილო, სირცხვილი მაჭმიე, ძუძუ დასწყევლე დედისა! რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო, რად ხარ ყელ-საბელიანი?! რად არ მამიხვედ, წიწოლავ, პირნათელი?!

**სამძიმარი** – მარტოდ რად სტირის დიაცი, გვერდით არა ჰყავ სოფელი?

**ვაჟა** – თასი დაღვარეს ხატშია: ახლოს მიუდგეს არვინა, წიწოლას დანაშაული აწეულია ცამდინა, დაამცრო ჩვენი სახელი, მთელს ლაშქარს გული ატკინა.

**სამძიმარი** – არც ვინ სამარეს გაუთხრის, არც ვინ შაუკრავს კუბოსა. მარტომ იტიროს დედამა, ცრემლი წინ დაიგუბოსა!

*(პაუზა. მინანი მიდის და უცებ შუა გზიდან შემობრუნდება).*

**მინანი** – მაგრამ ამავე პოემაში ბოროტება სიკეთის სამსახურშიც არის ჩამდგარი!

**სამძიმარი** – ნუ იგონებ სისულელეებს, მინანო, შე დღედასალევო და მზედასაბნელებელო!

**მინანი** – აბა, ის საზარელი, ბანჯგელიანი და უამრავი ადამიანის შემჭმელი გველი რად-რა უვლიდა დაჭრილ ლუხუმსა?

**სამძიმარი** – მე რა ვიცი?..

**მინანი** – იმ გველში ხელმწიფე ლაშარი იყო ჩაბუდებული და იმიტომ!..

**ვაჟა** – ელისება ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა...

*(ცელზე დაბჯენილი ბერი გიორგი, წმინდა მუხა და იმ მუხასთან მდგარი სამძიმარი განათლებიან სხვანაირი შექით – ეს ვაჟას დანახული სიზმარია, სხვები ვერ ხედავენ).*

**სამძიმარი** – გვაგვიანდება! გვაგვიანდება, ლუკავ და ვერ შეგასმინე... *(სახეს ჩამოიხოკავს)* გიორგი ხახმატის ჯვარო, შენ მიშველე! *(პაუზა)* შენც ხომ დამეკარგე, არა? ვაი, რატუ ის დღე არ დაიქცა, შენ რომ გამომიტაცე ქაჯავეთიდანა!

*(მუხაზე გამობმული თოკებიდან ერთ-ერთზე განათებული ბურთივით რამ მოვორავს და მალლა ჩერდება.  
ბერი გიორგი ცელს დააგდებს და დაიხოქებს).*

**ბერი გიორგი** – ხახმატის ჯვარი ამბობს, პირობას თუ დაარღვევ, არსადაც არ გაგიშვებ, ჩემთან დაგარჩენ, აბა, რას ვიზამო?

**სამძიმარი** – ჩემი ქაჯავეთი მომენატრა! ქაჯავეთის შუაგულში რომ სამჭედლო დგას, იქ მინდა! ჩემი ნახირი მინდა საბალახოდ ვადინო! სულ წინდების ქსოვა-ქსოვით ვადინო! მინდა, ვაძოვებდე ნახირსა და წინდებს ვქარგავდე შიბაებით! მინდა, სადამოს დავწველო ძროხები! მინდა, კარაქი შავდღვიბო! მინდა, ხაჭო ამოვიღო! მინდა, მინდა, მინდა!

**ბერი გიორგი** – ხახმატის ჯვარმა ბრძანა, თუ ემაგ დავლათიანი ლუკას სულს მოიგებ და იმ შენ ქაჯავეთში თან წაიყოლებ, მარტო მაშინ გაგიშვებ, პირობა – პირობააო!

**სამძიმარი** – *(ქვითინით)* არ მიჯერებს, ეს ცით მეხდაცემული და სკამ-კერა გაციებული, არა! ეს კარგუნახავი და უკვლო-უბედო!.. აშექალი გამოგეგზავნა! ან მზექალი! ან ხოშაქა! ან სიმენქალი! ეგენიც ხომ გიორგი ხახმატის ჯვრის მოდენი არიან!..

**ბერი გიორგი** – ქაჯის ქალებში უფროსი შენა ხარ და შენ იმიტომ გამოგიშვიო!

**სამძიმარი** – ჰო, მე ვარ უფროსი, მე! და ვიქნები კიდევ! მაგრამ თუ იმიტომ გამომგზავნე, რომ იცოდი, მაინც ვერ მოვიგებდი ვაჟას სულს და ქაჯავეთში არ გამიშვებდი, ვაი, შენი ბრალი!..

**ბერი გიორგი** – ხახმატის ჯვარმა ბრძანა, რომ მთელი ჩემი გეგმა სულ აურ-დაურიეო! რომ მიხვიდოდი, საყვედურით კი არ უნდა დაგეწყო, ჯერ წაწლად უნდა მოგეკიდებინა, მერე ნელ-ნელა დაგემორჩილებინა და შენ ჭკუაზე გეტარებინაო! აბა, რა გამოვიდა ეხლაო? ისე გაამწარე, ქვაც კი ასროლინეო! ვინა ხარ შენა, ვინაო! რატუ ის დღე არ დაიქცა, ქაჯავეთიდან რომ გამოგიტაცეო!

*(სხვანაირი განათება ჩაქრება, განათებული ბურთი ისევ თოკს გაუყვება და მიდის.  
შემოდინ შიო და სანდალა, რომელსაც თიხის დოქით შემოაქვს წყალი).*

**ვაჟა** – *(გახარებული)* მთაწმინდის წყალია?

**შიო** – ჰო, ნაუურია კლდისა...

**ვაჟა** – აბა, მომაწოდე!

**სანდალა** – *(დოქს საცობს მოხსნის და ვაჟას მისცემს)* გერგოს და გეწამლოს, გერგოს და გეწამლოს!

**ვაჟა** – *(დოქის მოყუდებას აპირებს და ძალა აღარ აქვს დოქის ასაწევად. შიო მიეხმარება და ისე დააღვეინებს წყალს).* ყოჩად, ბიჭებო! აი, გიშველოსთ ქიშმიშელამა! ძლივს ჩემი გემოს წყალი არ დაველი?

*(შიო და სანდალა გაკვირვებული გადახედავენ მინანს. თავად მინანიც გაკვირვებული უყურებს ორივეს).*

**მინანი** – რას მომჩერებისართ, არ ვიცი?!

**შიო** – მე კი ვხვდები, ვინც არის ქიშმიშელა!

**სანდალა** – მე კიდევ საითაც მინდა, იქით გავიხედავ და ვინც მინდა, ის მეგონება ქიშმიშელა!

## 7. გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჯვარსა

**სამძიმარი** – წავალ, ლუკავ, სულ წავალ! გადავიკარგები აქედანა და მერე დაგენანება! *(მიდის).*

**ვაჟა** – საკრამენტო!

**სამძიმარი** – საკრამენტო და იყოს საკრამენტო!

**ვაჟა** – წადი, წადი და იქითამც გზა გქონია!

**სამძიმარი** – *(მოუტრიალდება)* საით იქით?!

**ვაჟა** – საითაც მიეშურები!

**სამძიმარი** – მთელი ცხოვრება შენი სტუმარი ვარ და ეგრე უნდა სტუმრის დახვედრა? მაშ, სულ ტყუილად ილოცება თქვენი ხევისბერი: თქვენამც იდიდებით, მასკვლავნო ცისანო, სტუმარ-მასპინძელნო ერთურთისანო!.. და ღვთიშვილებიც რომ ვითომც ერთმანეთის მოდუ-მოძმენი არიან?

*(მუხაზე დაშვებულ თოკის კიბეზე ჩამოდის ბერი გიორგი – მუხის ანგელოზი.*

*სანდალა თასში დაახხამს ღვინოს, მერე ამ თასს ანთებულ სანთლებს მიაკრავს. იმ სანთლებიან თასს ხელში აიღებს და წამოდგება.*

*ყველანი მუხის ირგვლივ დადგებიან, ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ).*

**სანდალა** – *(წინ წადგება და ილოცება)* დიდება შენდა, გიორგი მუხის ანგელოზო, ლაშარის ჯვარო, თამარ მეფევე, აქიმო დედუფალო! გიორგი მუხის ანგელოზი გწყალობდეთ, გქნეს ეტლიან-ბელტიანი და ბედიან-დავლათიანნი. გიორგი მუხის ანგელოზო, დაგვიცავი, დაგვიფარე ლადის მტრისაგან და მწარე სიკვდილისაგან. უმატე ამათ სახლისა ღონესა, კაცსა-კაცრიელობასა, აგერმც გაემარჯვება თქვენს ხმალსა, თქვენს ძალასა და სამართალსა! შენ დაგვწერე შენი წყალობის ჯვარი, ქრისტე ღმერთო!

**ყველანი** – გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჯვარს, მუხის ანგელოზს, სწყალობდეს წაღმართ-წაღმართის პატრონს, წაღმართი კეთილად მოუხდინოს, რანიც ერთად შაუყრიან!

**მინანი** – აგერა, აიმ თოკზე გუდანის ჯვარი იკიდებს კოჭსა, ამ თოკით ისიც აქ გამოდის. ხახმატის წმინდა გიორგის ჯვარი კიდევ აიმ თოკით... სუ ამ თოკებით იარებიან ღვთიშვილები ერთიმეორესთანა!

**ვაჟა** – გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჯვარს, შეიწყალოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანნი!

**სამძიმარი** – მე წავედი უკვლოდა და უბედოდა!

**ვაჟა** – კარგი, ხელ-სამძიმარო, მობრუნდი და სტუმარ-მასპინძლობას ახლა გაჩვენებ!

**სამძიმარი** – (მობრუნდება და გვერდით ამოუდგება) აბა, მაჩვენე!.. და არ დაგავიწყდეს, რომ უნდა წამომყვე! ცოტა დრო დაგვრჩა!

*(ვაჟას საწოლის წინ წრეში მოქცეულ ბერ გიორგის თოკით ჰკრავენ – „სტუმარ-მასპინძლიდან“).*

**ვაჟა** – რა ამბავია, დიაცო? ხმალი მინდა და ხანჯარი! თავზე დაგვესხა მტრის ჯარი! ნამდვილ აკლებას გვიპირობს, გვალატობს ჩვენი სტუმარი; ძმობით და მეგობრობითა შემოგვაპარა ლაშქარი!

**ნინო** – აუგს ნუ ამბობ სტუმარზე...

**ვაჟა** – სუ, დაიცადე!.. მოვტყუედი... ჩვენი ქისტები არიან.

**ნინო** – რისთვის მოვიდნენ ამ დროსა, რას ბჭობენ, ვის რა სწადიან?!

**ვაჟა** – ყური დაუგდე კარგადა, კაცისა მესმის ხრიალი.

**ნინო** – რა მქისე ხმაურობაა, რა საზარელი გრიალი!

**ვაჟა** – ჩემს სტუმარს ჰკლავენ! უყურე უნამუსოთა, ჩემს ოჯახს როგორ ჰქედავენ! ჩაიგდეს ჩემი კაცობა და ფეხქვეშ თელავენ...

*(ვაჟა ხანჯალს აიღებს და მიდის წრედ დამდგარ ქისტებთან).*

**ვაჟა** – ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა? რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ? ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დაგდერი, განანებთ ბრეყულს ქცევასა! განანებთ, თუმცა ძმანი ხართ, ჩემის კაცობის ქელვასა!..

**სანდალა** – რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?

**შიო** – რად არ მოდიხარ ცნებასა?

**მინანი** – მოსისხლე სტუმრის გულისთვის ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?!

**სანდალა** – შენ და შენს სტუმარს, ორივეს ერთად გადგისვრით ბექითა.

**შიო** – თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა.

**მინანი** – მთელის ქისტების ამომგდე სტუმრად რადა გყავ სახლშია?

**სანდალა** – ზვიადაურის სახელი ბავშვმაც კი იცის მთაშია.

**შიო** – ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო, ჩვენის გაჟლეტის ცდაშია, მგლურად რო გვეტყეებოდა, გვისაფრდებოდა გზაშია.

**ვაჟა** – (სინანულით) ესა?!..

**მინანი** – თვით ამან მოჰკლა შენი ძმა არყიანებში თოფითა!..

**სანდალა** – „გახლავართ ზვიადაური!“, ჩამოგვკიოდა გორითა...

**შიო** – სულ კარგად ვიცით, ცხადადა, თვალს ვადევნებდით შორითა.

**მინანი** – აავსო ფშავ-ხევსურეთი აქით წასხმულის ძროხითა.

**შიო** – (ვაჟას) თავს რად იმურტლავ, ბეჩავო, გაუმაძღარის ღორითა?

**მინანი** – გული როგორ არ გერევა მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!

**ვაჟა** – ეგ მართალია, იქნება...

**სანდალა** – იქნება კი არა, მართალია!

**ვაჟა** – რაც არ უნდა მითხრათ, მაინც ვერ მიაბამთ ჩემს გულს თქვენს გულისთქმასთან...

**შიო** – რას ამბობ, რასა?

**ვაჟა** – დღეს სტუმარია ეგ ჩემი და თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, ვერ ვუღალატებ!..

**მინანი** – ძალიან არეულად ლაპარაკობ!

**ვაჟა** – მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა... როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა.

**სანდალა** – ნუ მთხოვ!

**ვაჟა** – ვის გაუყიდავ სტუმარი?

**შიო** – მტერი!

**ვაჟა** – ქისტეთს სად თქმულა ამბადა? რა დავაშავე ისეთი, შინ რომ მომივარდით?

**მინანი** – დააშავე!

**ვაჟა** – ჩვენი რჯული დაგვიწყებიათ, მიტომ იქცევით მცდარადა...

**სანდალა** – წყნარად ეგდე მანდა!

**ვაჟა** – ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ? სახლში ხართ, შარაზე კი არა!

**შიო** – იცოდე, რაც მადლი გიქნავ, მალე გექცევა შარადა.

**ვაჟა** – ვაი თქვენ, ქისტის შვილებო, მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!

**მინანი** – ვაი შენ, ჩვენ კი არა!

**ვაჟა** – უიარაღოს აწვალებთ!..

**სანდალა** – შენაც ამასთან შაგონავთ, თემის პირს რომ სტეს, თავხედო!

**შიო** – ჩვენის ნარჩევის დარღვევა შენ როგორ უნდა გაჰბელო?

**მინანი** – აჰყეფდი ქოფაკივითა, აბდა-უბდაობ შტერადა!

**სანდალა** – ამ გიაურის გულისთვის ძმებსაც ეპყრობი მტერადა.

**შიო** – შენი საქმეც დღეიდგან წავა ცერადა!

**სამძიმარი** – აჰა, ხანჯალი, ჯოყოლაგ და ეგრე უთხარი: “რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ? ახლა ძაღლადაც გამხადე?!” და მერე გულში უნდა უმარჯვო ვადამდე!

**ვაჟა** – რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ? ახლა ძაღლადაც გამხადე?! (*ხანჯალს ამოიღებს და დაარტყამს შიოს*).

**შიო** – (*კვნესით ჩაიკეცება*) ავაჰმე!

**სამძიმარი** – ახლა ასე უნდა განაგრძო: „უყურე თვით ძაღლს, უყურე, გამითამამდა სადამდე!“

**ვაჟა** – უყურე თვით ძაღლს, უყურე, გამითამამდა სადამდე!

**სანდალა** – რა ქნა უღმერთომ, რა ქნა!

**შიო** – გაგიჟდა!

**მინანი** – ჭკვაზე მცდარია...

*(ვაჟას მივარდებიან, წააქცევენ და ხელ-ფეხს გაუკრავენ თოკით).*

## 8. მომწყინდა თაბგალ ყოვნა...

**სამძიმარი** – *(გათოკილ ვაჟას თოკს შეხსნის)* მაღე შენი ჟამი დაჰკრავს, ლუკავ, და იმიტომ ვჩქარობ! მინდა, გადაგარჩინო! *(დააყურადებს)*. გესმის?..

*(ისმის ცელის ხმა ბალახის თიბვისას. სცენაზე თიბვით შემოდის თოკით ცაზე გამობმული ბერი გიორგი და მარჯვედ თიბავს, ფართო ნამხრევი მოაქვს).*

**ვაჟა** – აბაღე, ბერო!.. ცელო, მალოკენ ბალახნი, მათოთღენ მიწანი. მამგლოვიარებ, ტიალო!

**მინანი** – მატუსენ ბალახნი, ბერის გიორგის ნაქნარო, ნუღარას გასწირავ!

**ვაჟა** – დიდება შენდა, ბერო გიორგი მუხის ანგელოზო! კარგად კი სთიბს... კარგადა...

**სამძიმარი** – შენ კი იჯექი და სწერე - ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობაო...

**ვაჟა** – დავწერ კიდევ...

**სამძიმარი** – მაინც მენანები გასათიბად, ლუკავ... მაინცა!

**ვაჟა** – გიორგი მუხის ანგელოზის გარდა, ცას არავინ გამოვეკერებით, ხელ-სამძიმარო! სიკვდილი ეგეთი აქლემია, ყველას კარზე დაიხოქებს!..

**სამძიმარი** – თავად შენთან რომ მოვა მთიბველი, მაშინ სხვანაირად ილაპარაკებ!..

**ვაჟა** – კაი ყმა, მგელი, არწივი, – არცერთ არ გაიწურთნების... მე რომ მოგვედები, ნაბადში გამხვიეთ და, ხანჯალი და შენი მოჭრილი ნაწნავი დამადეთ გულზე... სხვა არა მინდა რა. *(თავის საწერ მაგიდასთან დაჯდება და რაღაცას წერს).*

**სამძიმარი** – *(ზურგიდან მიეპარება, ნაწერში იყურება)* კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, ნათქვამი არა გვრცხვენოდესო? რეებსა სჯღაბნი, ბეჩავო?! ეგ შენი კაი ყმა კი არა, ბიჭი ფრიდრის ნიცშეს ზარატუსტრა გახლავს!..

**ვაჟა** – ღონეგამოლეულს, დაწრეტილს, უსუსურ მეწვრილმანე ვაჭარს ენატრება „ზეკაცი“ ზარატუსტრა, ხოლო ჩვენში ცხვირმოუხოცელი მოხვეე და მთიელი იგივე ზარატუსტრა არის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მოხვეე და მთიელი უფრო რაინდია, ხოლო ნიცშეს ზარატუსტრა – ვერავი, სისხლის მსმელი, სუსტა მქელავი და მოვალეობის შემგინებელი, ესე იგი, არ არის ვაჟკაცი...

**სამძიმარი** – შენ რა გესმის ზარატუსტრასი, შე ბარბაროსო!

**ვაჟა** – ჰეგელი მესმის და მაგას რატომ ვერ გავიგებდი?

**ანიკო** – *(შემოდის ნამგლით ხელში)* სად წამოვედი, ლუკავ, ყანა მოსამკალი დაგვრჩა! რას უზიხარ აქა?! *(დაინახავს სამძიმარს)* გამარჯობა!

**სამძიმარი** – *(ანიკოს)* ერთი წუთით! *(ვაჟას)* ან ჰეგელისა რა იცი? იმისი „ლოგიკა“ რომ გიხსენო, ხომ ერთბაშად უნდა ჩაჩუმდე?!

**ანიკო** – ეს ვინდა არის, ლუკავ, ეს პატრონდამეხილი?!

**სამძიმარი** – *(ანიკოს)* შენ ენა ჩაიგდე, შე მკვდარგადაციცაულო და გამარჯობაზე როცა გიპასუხებ, მაშინ შამომჩხავლე შენი სათქმელი!

**ვაჟა** – *(სამძიმარს)* სანამ ჰეგელის „ლოგიკამდე“ მივალთ, მოდი, ჯერ ჰეგელმა რომ სუბსტანციაზე თეზისი დაგვიფუნდა, იმით დავიწყოთ!

**სამძიმარი** – ბატონი ბრძანდები! *(ჩქარ-ჩქარა ამბობს)* ჰეგელმა დააფუძნა თეზისი სუბსტანციაზე, როგორც სუბიექტზე, როგორც მომქმედ, აქტიურ საწყისზე, არა?..

**ვაჟა** – ჰოდა, ჰეგელის ფილოსოფიის მთავარი დებულება არის ყოფისა და აზროვნების იგივეობა. რეალური სამყაროს, როგორც გონის გამოვლენის გაგება...

**სამძიმარი** – მერე, მერე?

**ვაჟა** – ყოფისა და აზროვნების იგივეობას ჰეგელი ისე განიხილავდა, როგორაც აბსოლუტური იდეის მიერ თავისი თავის შემეცნების ისტორიულ პროცესს... და, აბა, მოდი, ეს უფრო კარგად ვთქვათ...

**სამძიმარი** – კი, ბატონო, და რომ იცოდე, მე ახლა გრიგოლ რობაქიძე ვარ და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით მაქვს დასრულებული ლაიპციგის უნივერსიტეტი!.. *(ქვაბურა ცილინდრს დაიხურავს)*.

**ვაჟა** – ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების საფუძველი აბსოლუტური იდეა არის, იგივე მსოფლიო გონი და იმისი მოქმედება ჰხდება თავისი თავის შემეცნებაში. და აბსოლუტური იდეა თავისი თავის განვითარებისას გაივლის სამ საფეხურს...

**სამძიმარი** – აბა, რომელს და რომელს?

**ვაჟა** – იდეის განვითარება თავის საკუთარ წიაღში, გინდაც, წმინდა აზროვნების სტიქიაში, - ეს პირველი საფეხური...

**სამძიმარი** – კი, კი, ესაა ლოგიკა, სადაც იდეა თავისს შინა არსს გადმოშლის ერთურთში გარდამავალ ლოდიკური კატეგორიების სისტემაში. და მეორე ეტაპი?

**ვაჟა** – იდეის განვითარება სხვადყოფნის ფორმაში, თუნდაც ბუნების ფორმაში, - ბუნების ფილოსოფია არის ესა.

**სამძიმარი** – კერძოდ?

**ვაჟა** – კერძოდ ის, რომ ბუნება კი არ ვითარდება, ბუნება ემსახურება მხოლოდ ლოგიკური კატეგორიების თავისი თავით განვითარების გარეგნულს გამოვლინებას. სწორედ ეს კატეგორიები შეადგენენ ბუნების გონითს არსებობას. ესეც შენი მეორე საფეხური...

**სამძიმარი** – კარგი, კარგი, კარგი! და მესამე?

**ვაჟა** – გონის ფილოსოფია არის მესამე საფეხური. მოკლედ რომ მოვჭრა, ეს არის იდეის განვითარება აზროვნებაშიც და ისტორიაშიც.

**სამძიმარი** – და მოკლედ რომ არ მოსჭრა? რაც არ უნდა იყოს, მაინც ფილოსოფიის დოქტორს ელაპარაკები!

**ვაჟა** – მესამე საფეხურზე აბსოლუტური იდეა კვლავ უბრუნდება თავის თავს...

**სამძიმარი** – და ეს აბსოლუტური იდეა თავის შინაარსს როგორ იგებს?

**ვაჟა** – როგორ და, ისე, ჩემო ფილოსოფიის დოქტორო, რომ ადამიანის ცნობიერებისა და მოქმედების სხვადასხვა ფორმაში ჰხედავს აბსოლუტური იდეა თავის შინაარსს.

**სამძიმარი** – ყველაფერი გასაგებია! აღფრთოვანებული ვარ თქვენ მიერ ასე ბრწყინვალედ გაგებულ იდეაზე! *(თავს დაუკრავს, ცილინდრს მოიძრობს და გადაავადებს)*.



**ვაჟა** – და უფრო გასაგები რომ გახდეს, აზროვნებისა და ყოფის ერთი და იგივეობის მტკიცებულება იმას ემსახურება, რომ სამყაროსა და აზროვნების კანონების ერთიანობა დამტკიცდეს...

**ანიკო** – *(წინ და უკან დადის ნამკლით ხელში)* სად წამოხვედი – მეტქი, ლუკავ, სადა?! სულ სწერამ და სწერამ! სწერამ და სწერამ!..

**სამძიმარი** – აჰა, ეგეც მე ვარ? *(ანიკოს)* გაგიმარჯოს...

**ანიკო** – გამარჯობა... *(საბოლოო ღიმილით)* ეს საცოდავი კაცი მოულოდნელად თავს მიანებებს საქმესა, დაჯდება და წერას დაიწყებს ხოლმე...

**სამძიმარი** – ამისი პოეტობა-მწერლობა ნავთის და მარილის ფულს ძლივს გაძლევთ...

**ვაჟა** – ჰო, ქალბნელო, თუ მიწა არ ავჩიჩქნე და პური არ მოვიყვანე, ყველანი მშივრები დავიხოცებით...

**ანიკო** – *(ვაჟას, გაჯავრებული)* ოჯახის საქმეს თავს რად ანებებ, შე ბეჩაო და მაგ ეშმაკისას რას მიუჯდება ხოლმე?

**ვაჟა** – ეჰ, შე საცოდაო, მე რო მოვკვდები, მერე გაიგებ ჩემ ფასსაცა და იმასაც, რასაც ვჯღაბნი... ჩემ კარზე ისე ივლის მთელი ქვეყანა, როგორც ეხლა ლაშარის სალოცავში დაიარება!

**ანიკო** – ნეტავი, ერთი ნაჯახი მომცა, რომ შენთვის თავში დამეტყა! ეგების, მაშინ მაინც გადმოგცვივნოდა თავიდან, ეგ რადაცა უბედური აზრები რომ გილაგია!..

**სამძიმარი** – *(ნაჯახს მიუტანს)* კარგი აზრია!

**ვაჟა** – ამას აზრები კარტოფილი და ჭარხალი ჰგონია!

**ანიკო** – მე ის მაწუხებს, რადა ხარ აზრებისგან დაღონებული, რად იტანჯები, შე საცოდაო?!

**ვაჟა** – ეჰ, სხვას რა დავემდურო, როცა ჩემი ცოლიც კი მე დამცინის?!

**სამძიმარი** – *(მაგიდასთან მივა, აიღებს ვაჟას ნაწერს და ანიკოს მისცემს)* აი, ნახე, რას წერდა!

**ანიკო** – *(გამოართმევს ფურცელს, დახედავს)* მე რომ კითხვა არ ვიცი?

**ვაჟა** – *(წაართმევს ქაღალდს და ამბობს)* ძვირფასო დაო მარიამ!..

**ანიკო** – ერთი ამას დამიხედეთ, ამ მექალ-რძლესა! მარიამი ვილა?

**სამძიმარი** – ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი, მარიამ დემურია!

**ვაჟა** – ძვირფასო დაო მარიამ! ერთ მოთხრობას გიგზავნით, თუ მოგეწონებათ, დაჰბეჭდავთ. ამაზე ლაპარაკი მეტია. სალაპარაკო და სათხოვარი ჩემი თქვენთან სულ სხვაა: მე სოფლად ცხოვრება აღარ შემეძლიან, უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურად შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები. ერთი დღე რომ ვიმუშაო, ერთი კვირა უნდა ვიწვე. ეხლაც ავადა ვარ, უსათუოდ ექიმი და წამლობაა ჩემთვის საჭირო. უნდა, თუ შევიძელი, ამ მოკლე ხანში ჩამოვიდე თბილისში და თავის თავს მოუარო. ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არც-რა სოფელს არგო და მე ხომ დამაუძღურა ყოველ მხრივ: ნივთიერად, გონებრივ, ფიზიკურად და თითქმის ზნეობრივაც-კი. ამიტომ გადავწყვიტე, ვიშოვნო რამ ისეთი სამუშაო, დიდს ჯამაგირს არ დავეძებ, რომ იოლად გამოვიდე და ზაფხულობითაც ერთი-ორი თვე თავისუფალი დრო მქონდეს. ვინაც

სიყრმიდან აქაურ პირობებში აზრდილა, შეჩვეულია აქაურ საქმეს, ჯერ ისინი ველარა სძლებენ აქ, მიეშურებიან ბარად შირაქში თუ სხვაგან და მე რის პატრონს როგორ შემიძლია აქ ცხოვრება? გარდა ამისა, შვილებიც უსწავლელი მრჩება. მეყოფა ამდენი ძალღუმაღური ცხოვრება.

საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს... თქვენ როგორც ღმობიერი ადამიანი სადმე კუთხეში არ მიაგდებთ ამ ჩემს წერილს და არ დაივიწყებთ ჩემს თხოვნას. მე რომ ქალაქში ვცხოვრობდე, უეჭველია, ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებს და არც თქვენ დაგჭირდებათ ჩემთვის მუდარისა და ხვეწნის წერილების წერა – ლექსი ან მოთხრობა გამომიგზავნეთო. თქვენ თუ მონინდომებთ, ყველაფერს მოახერხებთ. სხვას მე წერილს არავის არა ვწერ, რადგან მაგრერიგად დაახლოვებით არა ვარ არავისთან და თან ისიც ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს. თქვენი მარადის პატივისმცემელი, ვაჟა-ფშაველა.

**ანიკო** – უი, რა კარგი წერილი დაგიწერია!

**სამიძიარი** – ჰო, მშვენიერი!.. მარიამ დემურია გაგიხერხებს რამეს!

**ანიკო** – ადექი ეხლა, ფოსტაში წადი და სასწრაფოდ გაგზავნე!

**ვაჟა** – (წერილს დახვეს და ნახევებს გადაყრის) ესეც თქვენი წერილი!

**ანიკო** – ეგ რა ქენი, კაცო?

**ვაჟა** – რაც დაინახე!

**სამიძიარი** – ამ შენ მშიერ-ტიტველ შვილებს მაინც რა პასუხს აძლევ, თუ შენი თავი აღარ გენანება?!

**ვაჟა** – (ანიკოს) შენც კარგად იცი, დედაკაცო, რომ ჩემი სადარდო შვილებია: იმათი დაბინავება, იმათი აღზრდა; შიში, რომ უსწავლელები ხეპრეებად არ დამრჩნენ...

**ანიკო** – აი, შენ კი ჩავარდი გენიასა! შე ბეჩაო შენა!

**ვაჟა** – ისევ ამ ჩემ გენიაში ყოფნა მირჩევნია, მე ქალაქს ვერ გავძლებ, ვერა...

**ანიკო** – აი, შენ კი დაიმეხე! შე საცოდაო, შე კერიაში ნარ-ეკალ ამოსულო შენა!

**ვაჟა** – მარტო შენ კი არა, დედაკაცო, ხანდახან ჩემ თავს მეც კი ვგმობ, რატომ სხვებივით არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ გავუგორდი ლეკვივით დიდთა ამა ქვეყნისათა, არ ვულოკე ფეხები, არ ველაქუცე...

**სამიძიარი** – ჰოდა, რატომ?

**ვაჟა** – თავს იმით ვმართლულობ, რომ არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ეხლა შამიძლიან, თუნდა პირში ბალახი ამომივიდეს.

**სამიძიარი** – ჰოდა, ვერც ვერაფერი მოგიტანა მაგ შენმა წერამა...

**ვაჟა** – განა იქ წერა და მოღვაწეობა შეიძლება, სადაც მწერალს ისე ექცევიან, როგორც კატა თავს ეპყრობა, როცა თავი მის ბრჭყალებშია? მომწყინდა თავგად ყოფნა, მომწყინდა იმათთვის ხელებში ცქერა ერთი ბისტის გულისათვის.

**სამიძიარი** – მოგწყინდა, მაგრამ მეც რომ არ მომდევ?.. იცი, რა კარგად იქნები? იცი?

**ვაჟა** – ვიცი, ხელ-სამძიმარო, როგორ არ ვიცი! მაგრამ ეს სატიალე ჩემი ცხოვრება მიჯობს ისევ... როცა ტკივილი და სილამაზე ძალიან ახლო-ახლოს არიან და როცა კლდის პირზე ყელმოდერებული პირიმზე უფსკრულს ჩაჰყურებს ეჭვით...

## 9. უნახავის დანახვა

*(შემოდინან ანიკო და ნინო, უჭირავთ გაფოთლილი ტოტები, ბალახები, სხვადასხვა ყვავილი).*

**მინანი** – შენი ყვავილები და ბალახები გესტუმრნენ!

**ვაჟა** – *(გახარებული)* მოდით კარგებო, მოდით! თქვენამც შემოგვევლოთ თქვენი ლუკა! *(მინანს და სამძიმარს)* წამომსვით! *(მინანი და სამძიმარი ვაჟას საწოლთან მივლენ და წამოჯდომაში მიეხმარებიან)* არა, არა, უნდა ავდგე! *(მინანი და სამძიმარი წამოდგომაში ეხმარებიან).*

**ანიკო** – არ ადგეთ!

**ნინო** – არ შეიძლება!

**ვაჟა** – აი, თუ არ შეიძლება!.. *(ანიკოს და ნინოს)* თუ ღმერთი გწამთ, ლოგინი იატაკზე გამიშალეთ და გარშემო ეს მინდვრის ყვავილები დამიწყეთ.

*(ანიკო და ნინო ლოგინს ძირს გაუშლიან.*

*სამძიმარი და მინანი ზედ ფრთხილად დააწვენენ ვაჟას).*

**ვაჟა** – რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოგკვდეს, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო! რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში?! არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიათ, და ქვეყანას-კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლაღი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს... არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ, რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმაღავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვაგებს? რათა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო! *(პაუზა)* სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიად, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა...

*(სცენაზე რიგ-რიგობით შემოდინან და ესაღმებთან ვაჟას).*

**ნინო** – გამარჯობა, ვაჟავ!

**ვაჟა** – გაგიმარჯოს! შენ რომელი ხარ?

**ნინო** – ვერ მიცანი?

**ვაჟა** – ვერა.

**ნინო** – პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვალებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია...

**ვაჟა** – შენ შვლის ნუკრი ხარ...

**სამძიმარი** – უდრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერაღს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ... წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია.

**ვაჟა** – გამარჯობა, იავ, შენცა!

**სამძიმარი** – გაგიმარჯოს... რა კარგია, რომ მიცანი...

**ვაჟა** – თავის წაწაღს ყოველთვის სცნობს ვაჟა!..

*(ვაჟა დაინახავს ფესვებს და შეკრთება).*

**შიო** – ნუ გეშინია, არა ვართ გველები. ამ მაღალს მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვაგნებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა.

**ვაჟა** – მოგესაღმებით, ფესვებო თქვენცა!

**ანიკო** – არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. დმერთს ესე დაუწესებვიარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა. რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასაღესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!“

**ვაჟა** – გაგიმარჯოს, მთის წყაროვ!

**სანდალა** – ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი

და იღბალი, შენი წარსული და მომავალი! კლდეო! განა, რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

**შიო** – მე ვარ, ნუ გეშინიან, შავ-ბნელო.

**ნინო** – ქუჩო, კლდის შვილო, გამარჯობა შენი!

**სანდალა** – გაგიმარჯოს, პირიმზეე!.. მადლობელი ვარ, გამარჯობა მეც რომ მაღირსე...

**მინანი** – მე კაცები პირიმზეეს მეძახით, რადგან პირი და თვალები მუდამ მზისკენ მაქვს მიპყრობილი... მზის მოტრფიალე ვარ... როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და სცდილობს არსად დაეშალოს დედა, ისე ჩემი. მზე დედაა, პირიმზეე – შვილია მზისა.

**ვაჟა** – მიყვარხარ, უფსკრულის პირზე ყელმოღერებულო პირიმზეე! (*შიო ამოიოხრებს. ვაჟა მისკენ გაიხედავს*) გამარჯვება, კლდეო...

*(შიო არ პასუხობს).*

**ვაჟა** – გამარჯობა მეთქი, კლდეო!

*(შიო არ პასუხობს).*

**ვაჟა** – გამარჯობა!

**შიო** – ეეეჰ!..

**ვაჟა** – ხომ არ გეძინა, შავ-კლდეო, ბოღმა-ნადველით შედედებულო, უბედურო, უდაბურო!.. კაცი ვარ, სალამს გაძლევ, რატომ ბოდიშს არ იხდი?..

**შიო** – ბოდიში? რას ეძახით კაცნი ბოდიშს?.. ჰო, ვიცი, ვიცი... ერთმანეთს სულ მუდამ დღე გამარჯვებას ეუბნებით ენით, ხოლო საქმით ერთუროთის დაღუპვაზე სდგებიან. კლდე იმით არის კლდე, რომ ენას არ ალაკლაკებს წაღმა-უკუღმა. როგორ ქება-დიდებათ მომიხსენებდი, შენს „გამარჯვებაზე“ გაგიმარჯოს, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, თავს შემოგეველო, რომ მეთქვა, არა? უმეცარო! არ გესმის, გამოუცდელი ხარ, ჯერ ბევრი რამ გაკლია, ბევრისაგან ბევრი...

**ვაჟა** – ჩვენ კაცნი ამას ზრდილობას ვეძახით. ბოდიშის მოხდა ვალად გვაძევს ადამიანის შვილთა.

**შიო** – (*გაიღიმებს უგემურად*) უზრდელთ ვინ მოგცათ ზრდილობა?! ერთმანერთს სჭამთ, ერთმანერთსა ჰულებთ. ვითომ კლდე ბრიყვია, არ იცისო, გგონიათ? ვიცი, კარგად ვიცი! დიდი ხანია აქედან დავეყურებ ქვეყანას... რაც იქ სისხლი და ცრემლი დაღვრილა და იღვრება, აქ ჩემს გულში გუბდება, აქა გროვდება. ბუნებაში ჩემზე უმნო ერთი ქმნილებაც არ გგონიათ. მთას რომ უცქერით კაცნი, მე მუდამ თვალს გადაამაცილებთ თავზე, რათა ჰპოვოთ რამ სხვა თვალისათვის საამური – ყვავილი, ბალახი და სხვა. უნდა გაიცნოთ ჩემი გული, უნდა ჩაიხედოთ შიგ, იქნება მაშინ აღარ გეუშნოვოთ, აღარ შემიჯავროთ. თუ ვინმე სასოებაშიხდილი, თავმოებურებული დამადგება თავსა და ამბობს: აქედან უნდა გადავვარდე, რომ მოვრჩე ტანჯვას, მოვისპო სიცოცხლეო, – თვალებსწინ საზარელს სურათს დავეყენებ სიკვდილისას, ვაგრძნობინებ – ნუო; დაიშლის – ხომ

კარგი, არა და – ჩემს კალთაზე სიკვდილს ჰპოვებს. იმის სულის დაღევის წამი გულში ჩამეწვეთება და ტანჯვად მექცევა. დიდის ტანჯვის მტვირთველი ვარ, იმიტომ მუდამ მუნჯი, მუდამ პირქუში ვდგევარ, არ არის ჩემთვის მოსვენება, არ ვიცი, ლხინი რასა ჰქვია. არა ვარ უმაღლო. ნუ, ნუ სცოდებთ ღმერთსა, ნუ მიკიჟინებთ უდაბურ-უბედურებას...

**ყველანი** – *(ერთად ატეხენ ყიჟინს)* ვაჟას გაუმარჯოს!

**ანიკო** – *(წუწუნით)* სიცივე ბაღლებს მიღვეს... აგერ, ბერდიას რამდენი შეშა აქვს, ნახე, როგორ ცეცხლს ანთებს! უხორცოდ დაზრდლი ყმაწვილები რა ვაჟაკობას იზამენ? ჯიხვის ხორცი გვენატრება!

**ვაჟა** – *(ნაჯახს აიღებს)* ეს ხე უნდა მოვჭრა! *(შემოჰკრავს ხეს)*.

**მინანი** – *(კვნესის)* ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესა... უიარაღო რომა ვარ, მიტომ მიბრიყვებ?!

**ვაჟა** – ვერა... *(დგას ხელებჩამოყრილი)* ვერ წავიყოლებ შეშასა...

**ნინო** – პაწაწა ვარ, ობოლი...

**ვაჟა** – *(თოფს უმიზნებს შგლის ნუკრს)* ეს მაინც მოგკლა!

**ნინო** – ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ...

**შიო** – ერთიც და მეორეც ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია სარგოდ, რაად არა სჭრი ხეს, ნადირს რად არა ხოცავ, რადა?

**ვაჟა** – კაცებო, მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა, ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს. ნურც ნადირს მოგკლავთ...

**შიო** – ეგ რჩევა კი არა, ბოდვაა...

**ვაჟა** – *(ნამბალი უჭირავს და აქა-იქა მკის)* ახლავე! ახლავე!

**სანდალა** – მინდიავ, რა ციბრუტივით ტრიალებ და ქელავ მაგ ყანასა?

**ვაჟა** – რას ამბობთ, კაცნო, არ გესმით, მიტომ მიწუნებთ ქცევასა. არ იცით, თავთავები როგორ მეხვეწებიან...

**ნინო** – არა, მე მომჭერ, მინდიავ, ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!

**ანიკო** – არა, მე!.. მე უფრო მაშინებს ზეცა! პატარა ნისლიც რო ვნახო, ჩამოვიშლები ტანითა. ვაითუ სეტყვა მოვიდეს, ყელი გამომჭრას დანითა.

**მინანი** – *(ყვირის)* ნუ მწირავ, იხარე თავის ჯანითა!

**ვაჟა** – კაცთ სარგოდ ყოფნა სწადიათ ოქროსფერა თავთავებს, - არ უნდათ ოხრად ლპებოდენ, ჰკენკავდნენ ფრინველნი. მიტომ ჩქარობენ მომკასა, ერთად ჟივიან ყველანი, ჰსურთ პურად იქცნენ. საჭმელად, რომ მითი გაძღნენ მშიერნი... ბუნების კანონია ესეცა...

**სამბიძარი** – რას აიხირე ეს ბუნება და ბუნება? რა ყრია ამ ბუნებაში ბოლოს და ბოლოს?

**ვაჟა** – აბა, კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონ-კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ-კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მისწრაფის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე თავდაუზოგავად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრი მოსდის, უნაკლო არც იგია. რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეული ტიპის მეოხებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის,

რომ ბუნება სავსებით გამოჭვირს იმის ნაწერებში. ამ მხრივ შეჭხედეთ საგანს, ვნახოთ, თუ არ დამეთანხმობთ. შეადარეთ აგრეთვე ყველა გენიოსთაგან შექმნილი ტიპები. დააკვირდით, რამდენი მსგავსებაა მათ შორის...

**სამძიმარი** – არაკუნე და არაკუნე ეგ ლამაზი სიტყვები წისქვილის სარეკელასავითა! სულ ცაში თესე მთელი ფეტვის ყანები, იქა მკე და იქა ლეწე, სულ ოცნებაში იცხოვრე, სულა!

*(შემოდის ანიკო, სამძიმარი ანიკოსთან მიდის და ხანამ ანიკო ხმას ამოიღებდეს, ის ეჩურჩულება ხოლმე ყურში).*

**ანიკო** – კიდევ არ მაიტანე შეშა, კაცო?

**ვაჟა** – ის დღე გაშავდეს, რა დღესაც შენ მე დაგისვი ცოლადა. სრულ შენგან გავხდი, წყეულო, ყროლადა. რა ვარ? განა-ლა კაცი ვარ, ღირსი, ცის ქვეშე ვიდოდე?! იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ, ნეტავ წამალი ვიცოდე!.. ფუჭია ჩემი სიცოცხლე, დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია, თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო, უფალს თქვენგანა ვცოდია. შვილებიც ჭირად გამიხდა, შამაცვლევიანეს ფიქრია, დაკარგულს სულს და ხორცხედა ეხლა დღე და ღამ ვტირია.

**ანიკო** – მე რად მამბრალე თავის ბრალს, შინ მოგივედი ძალითა? „მზიავ, ძალიან მიყვარხარ,“ ცრემლებს აბნევიდი თვალითა და ჩემს ძმათ ჩემის გულისად შინ უხედობდი ხმალითა. წინაზე ტკბილი შაქარი ეხლა გემწარე რისადა? ან შვილთა ყოლას რად ჰგლოვობ, თავისი ცოლი და შვილი ვის გადაუგდავ სხვისადა? ჩვენ რადა გვსახავ მიზეზად შენის გუნების ცვლისადა?

**ვაჟა** – იმიტომ, რომ კაი ცხოვრება გეწადა და სულ წუწუნებდი: „სიცივე ბაღლებს მიღევსო“, „ბერდიას რამდენ შეშა აქვ, რა დიდ ცეცხლს ანთებს, ნახეო,“ ცხოვრების მაგალითად ბრიყვებს დამისახავდი... და მეც დღეს-ხვალეობით დავიწყე რწმენასთან მოქცევა: დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი, თუმც ბევრი კი მემუდარა...

**სანდალა** – რად სჩადი მაგას, მინდიავ, ვითომ არ იყავ მტერია?!

**ვაჟა** – ხვალ ორი მოვჭერ და ასე გული ჩავიდევ ქვისა!.. შენ კიდევ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი...

**ანიკო** – ყმაწვილნ უხორცოდ დაზდილნი რა ვაჟკაცობას იზამენ?!

**ვაჟა** – ახ, რატომ ამის თქმამდინა მიწა არ დაგეყარა!.. მეც მიყვე – ვხორცე ნადირი, გასუქ-გაღაღეთ ლეშითა... თავის ბაღლებით ჰხარობდი, მე დავრჩი თავის ტეხითა. სჯობდა კი ასე გახდომას გავთაულიყავ მეხითა...

**ანიკო** – ნეტავ რა გიჭირს ისეთი, თავს რად იტკივებ ძალადა?! შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?

**ვაჟა** – არ იცი, არა, ჭკევა-თხელო! რითი-ლა ვარგო ქვეყანას, დავცარიელდი ცოდნითა... ყვავილნი არას მეტყვიან, აღარც ცნობა მაქვს იმათი... აღარა მესმის ფრინველთა, აღარა მესმის ყანისა, აღარ მსმენია მას შემდეგ ტკბილი საღამო მწვანისა. ვედარას ვარგებ ქვეყანას მტრის მამგერებელს ჯარშია... თქვენგან დაგეყარე გონება, წმინდა გავყიდე რჯული... ან აქ რა პირით ვიცოცხლო? თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა? ყველასთან

შარცხვენილი ვარ – ცოცხლებთანა და მკვდრებთანა... რატომ მალედე არ გაქრა ჩემი ვარსკვლავი ცაშია!

*(ადგება, მოშორდება ცოლს და გულხელდაკრევით დგას. მალაღ მოებს რომ შეხედავს, დაიქვითინებს).*

**ვაჟა** – ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა, როგორაც არწივს გნოლია...

*(შემოდის შიო – ეს ნიკო ფიროსმანაშვილია, „მალიარის“ ვეროთი და საღებავებით მოსვრილი ფართუკით, ხელში ფუნჯები უჭირავს).*

**ვაჟა** – მობრძანდი, სტუმარი დვთისაა.

**შიო** – გამარჯობა!

**ვაჟა** – სად ისწავლე ხელობა, სადაური ხარ?

**შიო** – მე კახეთიდან ვარ.

**ვაჟა** – კახეთი დიდია...

**შიო** – ქიზიყელი ვარ...

**მინანი** – ეს მხატვარია, ისეთ რამეს დახატავს ხოლმე, რომ კაცს ნამდვილი ცოცხალი ეგონება... აი, ჩემი ბიჭისთვის საჩუქრად ფუნიკულიორი დახატა... *(ვედროდან დაძველებული ქაღალდს ამოიღებს, გაშლის და ვაჟას მიაწვდის).*

**ვაჟა** – *(გამოართმევს, დაათვალიერებს)* შე კაი კაცი, ოქროს ნიჭი გქონია და ოქროს ხელი, რაღა მალიარობას მისდევ? შენა ჰყოფილხარ ნამდვილი ქიზიყელი გარდანქეშანი! სწორედ შენა!

**შიო** – მა, რითა ვჭამო პური? სად არი ხატვის მუშტარი, შიმშილს მალიარობა არა სჯობია?..

**ვაჟა** – რა იცი, იქნებ არცა სჯობია...

**შიო** – ეჰ, ჩემო ძმაო... გატყობ, ნასწავლი კაცი ხარ, მაგრამ სხვებით რატომ კარგად არ გაცვია და ჩინ-მედლები არა გკიდია, რათ გაცვია გახუნებული და ჩემსავით დაკერებული ტანსაცმელი?..

**ვაჟა** – *(ჩაიციინებს)* რომელი გლეხი ნახე ამ დროებაში ჩემზე უკეთ ჩაცმული?..

**სანდალა** – ჰაი, დედასა, ეგ მარტო გლეხი ნუ გგონიათ! ეგ მწერალია, ვაჟა-ფშაველას რომ ეძახიან, სწორედ ის არი.

*(შიო გაოცებით მიაჩერდება ვაჟას, სახე გაუბრწყინდება, წამოხტება ფეხზე და მოწიწებით დაუკრავს თავს, ხელსაც ჩამოართმევს).*

**შიო** – მე წავიკითხე შენი „შვლის ნუკრის ნაამბობი“. ცრემლებს ვერ ვიკავებდი! ძლიერ მომეწონა და განვიზრახე, დამეხატა კიდევ... შარშან მომეცა ამისი შემთხვევა...

**სანდალა** – მიხუას დუქანში, არა?

**შიო** – ჰო, მიხუამ მთხოვა, კარგი რამე დამეხატა იმის დუქანში, ბუფეტის მოპირდაპირე დიდ კედელზე. მე გამიხარდა და დავიწყე ხატვა. მიხას მოსწონდა დახატული ტყე, მთები, პატარა წყარო და მაქებდა კიდევ.



მაგრამ მერე, როცა წითელი საღებავით შევაფერადე შველის გამოჭრილი ყელი და ბალახზე დაღვრილი სისხლი, მიხუამ წამაშლევინა ნამუშევარი და იმის ადგილზე მეზურნეების დასტა და მედოლე ბაგრატა დამახატვინა, მოცეკვავე ყარახოხელებით.

**ვაჟა** – რაად რა წაგაშლევინა?..

**შიო** – მიხუამ მითხრა: ჩემს დუქანში ხალხი გასართობად მოდის.

დროსტარება და მხიარულება უნდა. მთვრალმა კაცმა რომ სისხლი ნახოს, ვაითუ ჩხუბის გუნებაზე დადგესო, ვინმეს ეცეს და სისხლი დაღვაროსო. სამი დღის ნამუშევარი წყალში გადამიყარა...

**ვაჟა** – *(პაუზის მერე)* ეჰ, ცხოვრებაჲ, რა ხარ, რა...

**შიო** – მგოსანო! *(თავის დახატულ სურათს გაუწვდის ვაჟას)* მე მინდა, რომ ეს სურათი გაჩუქო...

**სანდალა** – ტყუილად კი არ შეგარქვეს, – შენა, შეილოსა, მართლა გრაფი ხარ, ნამდვილი გრაფი!

**ვაჟა** – იცოცხლე, გრაფო, დიდი მადლობა. ახლა კი წამსვლელ-დამრჩომისა შავსვათ, აბა, ჩამაასხით!

*(სანდალა დოქიდან ღვინოს ჩამოუსხამს ყველას ჭიქებში).*

**ვაჟა** – ჩემი და ამ კარგი კაცის წასვლას გაუმარჯოს, თქვენ აქ დარჩენას!

**შიო** – გაუმარჯოს!

*(ჭიქებს მიუჭახუნებენ და დაღევეენ).*

*ვაჟა და შიო ხელიხელ გადახვეულები მიდიან).*

**მინანი** – ჰეი, ბაღლებო! დიდო ბაღლებოო!.. სად რას მიხვალთ, დიდო ბაღლებო? სად რასა?

**სამიძიარი** – *(შემოდის განრისხებული და მკაცრად ლაპარაკობს კაცის ხმით)* ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობენ ვაჟა-ფშაველას გენიალობაზე. არადა, ვაჟა მაჩვენებელია უმთავრესად ჩვენი უკულტურობისა და ნაციონალური პრიმიტივისა... დიახ, ვაჟა-ფშაველა პრიმიტივის, თანამედროვეობიდან უკან დახევის, უკულტურობის და სიბნელის „ნაციონალური“ გმირია, რადგან იგი იდეალიზაციაა უკულტურობისა...

**შიო** – *(გააწვევტილებს)* რას მიედ-მოედები?!

**მინანი** – ეგ კანდიდ ჩარკვიანის სიტყვებია და სტალინმა დაავალა ეგრე ლაპარაკი... იმიტომ დაავალა, რომ ვაჟამ გაასილაქა თავის დროზე...

**სამიძიარი** – ჯერ არ დამიმთავრებია! *(ისევ კაცის ხმით)* ვაჟა-ფშაველა ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური შინაომებით... არამარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთო ეროვნული ამოცანებიც ჯეროვნად არ ასახულა ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში...

**ვაჟა** – *(პაუზის მერე)* წასვლა სჯობს, როცა გცნობს და ვერცა გცნობს წუთისოფელი...

**შიო** – ქვეყანა დიდია...

**მინანი** – რამდენიც უნდა იართო, ვერსად წახვალთ!.. მაინც სულ აქ იქნებით, სულ!

**შიო** – აი, მინანმა ხომ მართლა გვიცნო...

**სანდალა** – თქვენ ყველა გცნობთ!

**ვაჟა** – ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველამ გვიცნოს...

*(ვაჟა და შიო შემობრუნდებიან და დარბაზს უყურებენ).*

## 10. პირიმზა

**სამძიმარი** – *(უყურებს წმინდა მუხას)* იქ ეგეთი მუხა კი არა დგას!

**ვაჟა** – სადა?

**სამძიმარი** – ქაჯავეთში!

**ვაჟა** – აბა, რა დგას?

**სამძიმარი** – ქაჯავეთის შუაგულში სამჭედლოა!.. მტრობასაც იქა სჭედენ, სიყვარულსაცა და მეგობრობასაც...

**ვაჟა** – მტრობისა კი და, რა იცით თქვენა სიყვარულისა და მეგობრობისა, ბაღლო?

**სამძიმარი** – რაკილა შენთან მოვედი, ალბათ, ვიცით...

*(ისმის ბაღახის თიბვის ხმა.*

*ცას შიბით გამობმული ბერი გიორგი თიბვით შემოდის სცენაზე. მერე შეჩერდება, ცელს დააბჯენს და ჯიბიდან ამოღებული სალესავით ცელის პირს ლესავს მორიგეობით, ჯერ ერთი, მერე მეორე მხრიდან).*

**ვაჟა** – ცელო, აბრწყინდი, გაფხავდი, აისხენ ეკაღნი!

**სამძიმარი** – მამგლოვიარებ, ტიალო! დრო იწურება და ჯერ არაფერს მპასუხობ!

**ვაჟა** – რა გინდა, სამძიმარო, რა პასუხს მოელი ჩემგანა?

**სამძიმარი** – მიატოვე ეს უმადური ადამიანები და ქაჯავეთს წამოდი! იცი, რა კარგად იქნები? *(ფულ-დილებს ააჟღარუნებს და მკერდს გაუთამაშებს)* ჩემზე უკეთესი წაწლები იქ გეყოლება!

**ვაჟა** – შენს გარდა მე არავინ მინდა!

**სამძიმარი** – წამო, თორემ, ხომ ხედავ, უკვე შენაც მოგადგა მთიბველი!

**ვაჟა** – მომდგება და მეც არ დავხვდები...

**სამძიმარი** – არ მოდიხარ, არა?! *(ატირდება)* მაშ, მიყურე! *(ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს, გულზე მიიღებს)* არც ახლა გამომყვები?

**ვაჟა** – არა, არა! არ ისროლო!

**სამძიმარი** – მშვიდობით, ვაჟავ! *(რევოლვერის სახსლეტს ფეხს გამოუშლის. გასროლა. სამძიმარი ძირს დაეცემა და ვაჟას რევოლვერს*

გადაუგდებს) ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა!..

**ვაჟა** – სამძიმარო! (მიიღებს სამძიმართან, დაიხოქებს და ტალავარს გადაუწევს, გულისპირის ღილებს გაუხსნის და ხედავს ქალის მკერდს) ჭრილობა სად არის? ჭრილობა! (გაოგნებული უყურებს).

(პაუზა. ბერი გიორგი ამთავრებს ცელის ღესვას და თიბვას განავრძობს).

**სამძიმარი** – (თავს წამოსწევს და გაიციინებს) გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო!..

**ვაჟა** – (შემკრთალი) არაფერიც არა გჭირს!

**სამძიმარი** – რაო, ვაჟავ? მართლა საამო არის საცქერლად?!

**ვაჟა** – მაშ, ცოცხალი ხარ?

**სამძიმარი** – როგორც მხედავ, შე ბეჩავო! (ლოყაზე მოეფერება. მერე სახეს ახლოს მიუტანს, თვალებში უყურებს).

**ვაჟა** – როგორ შემომაბრძლიაღე, ქალავ, ეგ მწველი თვალები! (ბაგეებზე საკოცნელად მიეტანება).

**სამძიმარი** – (უკან დაიწევს) რომ გაკოცნინო, წამომყვები? ჰა? წამოხვალ ჩემთან?.. რა დაგრჩენია ამ გაუტანელ ადამიანებში? ამ უმადურებში? ამათ ხომ შენი ფასი არ იციან? თუ წამოხვალ, აღარ მოკვდები! ხომ მნახე!

**ვაჟა** – (რევოლვერს აიღებს, გადახსნის, გაზნებს ამოიღებს) აქ, ალბათ, ყალბი ტყვია იყო! (გაზნებს ჩააბრუნებს მჭიდში, მჭიდს რევოლვერს მთარგებს და თავადაც გულზე მიიდებს ლულას).

**სამძიმარი** – არა, შენ არა! შენ მართლა მოკვდები, რომ გაისროლო!

(რევოლვერს წაართმევს ხელიდან) აი, უყურე! (რევოლვერს ზემოთ გაისვრის. მადლიდან მტრედი ჩამოვარდება).

**ვაჟა** – (ჩამოვარდნილ მტრედს აიღებს, ხელს გადაუსვამს და მერე ხელზე დაიხედავს) სისხლი!

**სამძიმარი** – (მივა ვაჟასთან, სისხლში თითს ჩააწებს და ვაჟას შუბლზე ახატავს სახლს) ესეც ქაჯავეთის სამჭედლო!.. ახლა მაინც ხომ წამოხვალ?

**ვაჟა** – (შუბლს მოიწმენდს) როგორ უნდა წამოვიდე, ცუდად ვარ...

**სამძიმარი** – როგორ და – შენი სული უნდა მომცე...

**ვაჟა** – ვიცი, აქ იმიტომ გამოგზავნეს, რომ სული გამომტყუო!

**სამძიმარი** – ხახმატის ჯვარი მხოლოდ შენთან ერთად დამაბრუნებს ქაჯავეთში, სხვანაირად არა! ისეთ გველის ხორცს მოგიხარშავ, შენი მოწონებული! რომ ბოლომდე დაბრძენდე!

**ვაჟა** – ბოლომდე დაბრძენება ის იქნება, რომ ბოროტმაც მოიკიდოს ჩემ გულში ფეხი?!

**სამძიმარი** – ქაჯავეთში სიკეთე და ბოროტება არ გაირჩევა! შენ რომ დაწერე, - სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს, კეთილსა ვყვანდე ზიარადო, - ეს აღარა სჭრის ქაჯავეთში, ბეჩავო!

**ვაჟა** – მაშ, კარგი!.. მოგცემ ჩემ სულსა!

**სამძიმარი** – მომყიდი?

**ვაჟა** – არა, ისე გაგატან! თუ მართლა გინდა!

**სამძიმარი** – რას ჰქვია, მართლა მინდა? მთელი ცხოვრება მაგის მუშა არა ვარ? ძალიან ძვირი კი დამიჯდა, რომ იცოდე...

**ვაჟა** – *(წვალებით წამოდგება ფეხზე)* მოდი, ჩემი სული უნდა გაგატანო!

**სამძიმარი** – ვაიმე, ვაიმე! არა მჯერა ამხელა ბედნიერება! არა მჯერა და მომკალი!

**ვაჟა** – მოდი ჩემთან და დაიჯერებ!

**სამძიმარი** – მართლა მეუბნები?!

**ვაჟა** – მართლა!

**სამძიმარი** – არ მატყუებ?!

**ვაჟა** – არა მეთქი!

**სამძიმარი** – არა მჯერა!

**ვაჟა** – სანამ შენ დაიჯერებ, მთიბველიც მოვა ჩემამდე!..

*(ბერი გიორგი თიბვით მოდის ვაჟასკენ, ისმის ცელის წივილის ხმა და ბალახების შრიალი).*

**სამძიმარი** – ცოტაღა დაგრჩა!..

**ვაჟა** – ჰოდა, დროზე! გელოდები!

**სამძიმარი** – მოვდივარ! *(მიირბენს ვაჟასთან).*

*(ვაჟა მიახლოებულ სამძიმარს სილას გააწნავს.*

*სამძიმარი ძირს დაეარდება და რამდენჯერმე კვნესით ამოტრიალდება).*

**ვაჟა** – *(ჩაიცინებს)* ეგეც ჩემი სული, სულციცაიანო!

**სამძიმარი** – ვაიმე!.. *(ლოყას იზელს)* გაგიწყრეს ლაშარის ჯვარი და თამარ-დედუფალი! *(წამოჯდება)* რამდენჯერ უნდა გამასილაქო, შე უგონთგარეულო, რამდენჯერა?..

**ვაჟა** – პირველად მოგხვდა, ქალბნელო, სულ პირველად! იმიტომ მოგხვდა, რომ სიკეთე და ბოროტება გაარჩიო ერთიმეორისგან!

**სამძიმარი** – აბა, მაშ, ის ყმაწვილი თავადი ამილახვარი ვინ იყო, სილა რომ აჭამე მაშინ?

**ვაჟა** – ის ოთარ ამილახვარის შვილი, გიორგი იყო და სწავლაში ზარმაცობდა!

**სამძიმარი** – ის მე ვიყავი! მე! სოფელ თონეთის მამასახლისი დიმიტრა შავშიშვილიც მე ვიყავი, მაშინ კიდევ აქეთ ლოყაში მომხვდა! სამი კვირა და ოთხი დღე დაწითლებული მქონდა!

**ვაჟა** – მამასახლისი კი არა, მამაძაღლისი იყავი!

**სამძიმარი** – გახსოვს, ცოლი რომ მოგყავდა? *(კაფიას ეტყვის)*

ლუკას მაჰყავის ცოლიო,

ურიაია ყროლიო.

რად-რა რა უნდა ბეჩავსა,

შავთხარე ჩემი სოლიო.

**ვაჟა** – ეგ კაფია მაღაროსკარის დუქნიდან შამომძახა გიჟათ ქურსიკომა და კაი მელაც დაიჭირა...

**სამძიმარი** – ის გიჟათ ქურსიკო მე ვიყავი *(თმას გადაიწვეს და ვაჟას ყურს აჩვენებს)* აი, ჩემი ჩამოთლილი ყური...

**ვაჟა** – კარგად მომიქნევია ის ხანჯალი!

**სამძიმარი** – სოსო ჯულაშვილიც მე ვიყავი და ყველაზე ყუათიანი სილა მაშინ მითავაზე, ილია ჭავჭავაძე რომ მოგვკალით... ეგ შენი ილია ერთ ღამეში ორი ათას მანეთს ბანქოში წააგებდა ხოლმე და შენისთანებს კი არ ესმარებოდა... არ იყო მოსაკლავი?

**ვაჟა** – *(სილას გააწნავს)* აი, თუ იყო!

**სამძიმარი** – *(ისევ წაიქცევა და წვალებით წამოდგება)* ცოდო არა ვარ, ვაჟავ? მთელი ცხოვრება დარეტიანებული დავდივარ! ამ შენი სილაქების ატანის ძალა აღარ შემრჩა, აღარა... რა ვქნა, რა გაგაკეთო? მეც იმ წიწოლასავით თავი ხომ არ უნდა ჩამოვიხრჩო, ბოლოსდაბოლს? *(ატირდება)*.

**ვაჟა** – ჩამოიხრჩო, თორემ შენც ერთბაშად არ მოჰკვდე!

**სამძიმარი** – მე შენსკენა ვარ და შენ კიდევ – ამათკენ? გინდა, რომ მაინცდამაინც მოკვდე და ჩემი საქმე ვეღარ მოვასწრო? შენი სულის მოსაგებად მთელი ცხოვრება მიშავდევნია და სულ წყალში მიყრი ამ ჩემ გარჯას?!

**ვაჟა** – სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს, კეთილსა ვყვანდე ზიარად...

**სამძიმარი** – მე რომ არა, რისი დამწერი იყავი, რისი?! მთელი ეს დრო სულ იმას ვცდილობ დაგანახვო, რომ უჩემოდ იმ შენ შედეგრებს ვერ დაწერდი...

**ვაჟა** – შენა, სამძიმარო, მხოლოდ უფსკრული იყავი და მეტი არაფერი!..

**სამძიმარი** – ჰოო, უფსკრული ვიყავი და მე განახვებდი იმის სიღრმეებსა!

**ვაჟა** – პირიმზე რომ არა მდგარიყო იმ უფსკრულის პირას, რად მიხდოდა ის შენი უფსკრული, რადა?

**სამძიმარი** – მძულს ეს შენი აკვიატებული პირიმზე!.. ერთხელ ვერ მივწვდი, რომ ამომეგლიჯა შენი სულიდან!.. და როგორც კი შენ სულს ჩავიგდებ ხელში, პირველ რიგში მაგ პირიმზეს ამოვგლეჯ და სულ ნაკუწებად ვაქცევ!

**ვაჟა** – *(პაუზის მერე)* მზე დედაა და პირიმზე – შვილია მზისა! შენ იმასთან რა ხელი გაქვს, ხელ-სამძიმარო!..

**სამძიმარი** – ოხ, ერთი მივწვდე და მერე მე ვიცი, როგორც მოვსპობ!.. ახლა კი წამოდი, ძალიან გთხოვ, გამომყე! გემუდარები!

*(ბერი გიორგი თიბვით უახლოვდება ვაჟას. ცელით თიბვის ხმის ფონზე ისმის გულისცემის და გახშირებული სუნთქვის ხმა).*

**ვაჟა** – უკვე გვიანია, მთიბველი მომიახლოვდა!

**სამძიმარი** – გველის ხორცს მოგიხარშავ და ეგ მთიბველი ვერას დაგაკლებს! *(მთიბვენს საკიდელთან, ქვაბს თავს მოხდის, უბიდან გველებს გამოაძვრენს და შივ ჩაყრის)*.

**ვაჟა** – *(ღიმილით ამბობს ლექსს)*  
მუნთალო წუთისოფელო,  
ტანჯული შვილი გშორდები.  
თუ ვინმეს ვალი მიმყვება,  
იქიდან გაეუსწორდები.

*(ისმის საათის რეკვა).*

**ვაჟა** – ანიკო, რომელი საათია?

**ანიკო** – სამი.

**ვაჟა** – მიკვირს, სამ საათამდე როგორ ვიცოცხლე...

**ნინო** – რა დროს თქვენი სიკვდილია?..

**ვაჟა** – იმას ვგრძნობ, რომ ეს სამი საათი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი საათია!..

**ანიკო** – რას ბრძანებთ, თქვენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლოთ!

*(გაუხინჯავს მაჯას)* ვაიმე! გულსიცემა შეჩერებულია! ჩქარა, ექიმი!

**ნინო** – ექიმი!

*(მუხის მიღმა, მზის ფონზე მოჩანს მინანი).*

**მინანი** – ლუკავ, ჰაი, ლუკავ! ლუკაურიკავ!

**ვაჟა** – *(თვალებს გაახელს, წამოდგება)* რა იყო, მინანო?

**მინანი** – მე პირიმზე ვარ! შენი შეყვარებული პირიმზე! მე მზის შვილი ვარ და მე უნდა გამომყვე!

**სამძიმარი** – არ გაგიჟდე, იმას არ გაჰყვე, ლუკავ! თავი არ დაიდუპო! *(წინ გადაუდგება)* სადაც არის, გველებიც მოიხარშება!

**ვაჟა** – გზიდან ჩამომეცალე, ხელ-სამძიმარო!..

**სამძიმარი** – იცოდე, მინანთან თუ წახვალ, სიკვდილი მოგიპარავს, ლუკავ!

**ვაჟა** – სიკვდილი სხეულს იპარავს და სულს კი - ვერა! *(ხელს ჰკრავს სამძიმარს)* სული უკვდავია!

*(სამძიმარი უკან გაქანდება, წაბარბაცდება, წონასწორობის შესანარჩუნებლად საკიდელს წაატანებს ხელებს, საკიდელი ჩამოწყდება და ძირს უღარუნით დაეცემა ჯაჭვიც და ზედ დაკიდებული ქვაბიც. ამ დროს მოახლოებული ბერი გიორგი თავის ცელს გაუსვამს ვაჟასაც. ვაჟა ჩაიკეცება.)*

*მინანი მოდის ვაჟასთან. დაიხრება, სულს ჩაბერავს და წამოაყენებს.*

*წამომდგარ ვაჟას მინანი ხელს ჩაჰკიდებს და ორივენი მიდიან დიდი, განათებული მზისკენ და იმისი დისკოს ნათელში გაქრებიან.)*

**სამძიმარი** – მორჩა!..

*(მუხასთან დგას მხერბნამოყრილი სამძიმარი. მუხიდან ბერი გიორგი უწვდის ხელს, რომ ზემოთ აიყვანოს.)*

*სამძიმარი პირს აღებს, ხმის ამოდება უნდა და ვერაფერი უთქვამს.  
აკნკალებულ ხელებს რა მოუხერხოს – აღარ იცის და მოულოდნელად  
საშინელი ქვითინი აღმოხდება: გეგონება, ტურები აკივლდნენო...).*

**სამძიმარი** – მაინც მომატყუე, ხახმატის ჯვარო! როგორ მინდოდა  
ქაჯავეთში დაბრუნება და შენ საზღაურად ლუკას სული მომთხოვე!..  
იცოდი, რომ არაფერი გამომივიდოდა!.. მთელი ცხოვრება თან დავდევი,  
მთელი იმისი დუხჭირი ცხოვრება! ვეხვეწებოდი, ცელი ყოფილიყო, ცელი  
და – ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობაო!.. მართლა ბალახის  
ძალა ჰქონდა, იმ ბალახისა, ლოდს რომ გახვრეტს და მაინც მზისკენ  
წავა... არადა, როგორ მინდოდა ქაჯავეთში დაბრუნება, როგორ!.. *(სცენის  
იატაკზე ლუკს ახდის და ქვემოთ ჩადის).*

## 11. მზეო, ღაიცა, არ ჩაბრძანდე..

*(ყველა მუხის გარშემო შეკრებილა და სარიტუალო ფერხულში ჩაბმულა).*

**შიო** – მეცხვარე გარსევანიშვილის მეუღლე, ბერთ ნათელა სახელიანი  
მოტირალი იყო მარტო ჩარგალში კი არა, მთელს საარაგვოზე.

**სანდალა** – ვაჟა იმაზე იტყოდა ხოლმე, ეს დედაკაცი ნამდვილი პოეტი  
არისო. მკვდარს რომ ტირის, სულ ლექსები გამოუდისო.

*(ნინო გაშლის ლუკას ნაბადს, ზედ დააწყობს იმის ჩოხა-ახალუხს.  
თავით სანთელს დაუნთებს.*

*მერე იმ ჩოხაზე ლუკას ხმაღს დაასვენებს.*

*შემოეხვევიან ლუკას სატირალს ჩარგლელი დედაკაცები და გამართავენ  
ძველებურ, ფშაურ ტირილს).*

**ანიკო** – *(აიღებს ლუკას ხმაღს ხელში, დაებჯინება)* მე რას-რა  
გიშველიდი, ბეჩავ ლუკაო, დასდევია სიღარიბის ჯოხი?.. *(დაიწებს და  
ველარ გაავრძელებს, ტირილი აუვარდება).*

**ნინო** – *(ახლა ის აიღებს ლუკას ხმაღს ხელში, დაიბჯენს და დაიწყებს  
მოთქმას)*

ეს თუ არი და ჩვენი ლუკა,

ბადალი მთელის ხმელეთისა...

თავით ბატონის სანთელ უნთავ,

შამანგრეველი ბნელეთისა.

*(ამ ხმით ტირილს ქვითინითვე უპასუხებენ სხვა დედაკაცები).*

**ანიკო** – *(წამოდგება, ლუკას ხმაღს დაიბჯენს და ის კი ეგრე დაიტირებს)*

ღაიცა, მზეო, არ დაბრძანდე,

ღამით მე ვერას გაგარიგებ.

ვინა თქვა, ვაჟა აღარა გვყავს,  
ცა-დედამიწამც დაქცეულა.  
ულირსნი დარჩნენ სამზეოსა,  
ვაჟკაცნი მიწამ უნდა ჭამოს.  
შენ იყავ ქვეყნის თანასწორი,  
მზე-მთვარესავით მოსდიოდი  
ბეჩავთ, ქვრივ-ობოლთ შველისადა.  
ღმერთმა გიმრავლოს ე საყოლი.  
მზეო, დაიცა, არ ჩაბრძანდე,  
იქნება ლუკა გაგვიცოცხლდეს,  
იმ ქვეყნის სწორმა გაგვახაროს,  
სალხინოდ გახდეს სატირელი.

*(კაცებსაც ცრემლი მოერევათ და ჩუმ-ჩუმად იწმენდენ.  
შემოდის მინანი, ქადაგად დავარდება – მიწაზე დაეცემა, იკრუნჩხება. თან  
ამთქნარებს და მერე მიღმიერში წასული მზერით ადგება და ლაპარაკს  
იწყებს).*

**მინანი** – *(დაინახავს მუხასთან მდვარ, თეთრსამოსიან ვაჟას, ხელს  
გაიწვდის იმისკენ)* აგერა, ლუკა ამბობს, თავად ლუკა...

**ყველანი** – რას ამბობს? რასა?

**მინანი** – მადლობელი ვარ, ჩემო პატრონო, რომ მიკითხე და პირის ქარი  
გამაშლევინეო... საწყლებო, საწყლებო, სტირით და სჩივითო – „ვაჰმე, ვერ  
მოეუარეთ კარგა, იქნებ კიდევ რა შეელოდაო!“ სუ ტყუილიაო, ჩემი წერა  
ეს იყო, უმწერლოდ არა ვარ მკვდარიო. ცხრანი დამიხვდნენ, ცხრანი  
ღვთისშვილნიო, რო მიმიყვანეს დამბადებლის კარზედაო. შამამყვა ლაღი  
ლაშარის ჯვარიო, დამეხმარა მამაჩემის სიალნეო. სიმართლე-სიალნის  
მეტი არა ყოფილა აქ კაცის მეშველიო. მიეცითო ჩემი ტანისამოსი ბეჩავს,  
უქონელსაო. კიდევაც გვეხედვებოდა უბედურება, მაგრამ ვეხვეწე  
დამბადებელსაო, შვიდ დღე-ღამეს დამბადებლის კარზე ვიყავი  
დახოქილიო, ვეხვეწეო. დამეხმარა ლაღი ლაშარის ჯვარიო,  
მთავარანგელოზიო. აგაცდინეთ იმათ წყალობით რისხვა დამბადებლისაო.  
ემსახურებით საკლაგებითა, სანთლითა და ძღვნითა, ნუ გამაწბილებთო,  
პირშავად ნუ გამამიყვანთო. ცხენი მჭირდება საფერხე და ფეხსამოსიო,  
ცრემლი არ მაკლიაო. ვინძლო სახლ-კარი კარგად შამინახოთ და  
მამულები არ გამიყამიროთო. ვინძლო ჩემ დაწერილებსაც წაიკითხავდეთო  
და დაისწავლიდეთო...

*(მუხიდან გამომავალი თოკები ირხვეიან და იქიდან ისმის უცნაური  
მოთქმა ბერი გიორგის, მუხის ანგულოზისა).*

**ბერი გიორგი** – ღმერთო, შენი დიდებითაო! ღმერთო, შენის მოცემითაო!  
ღვთის წესითაო, ელუსამეთის მადლითაო, ცოცხალნიც შენ გეხვეწებიან,  
მკვდარნიც შენ გაბარებ. თუ სააქაო ნათქომი საიქიოს სულიწმინდას  
ემსახურებოდეს, თქვენამც მოგივათაო, ჩვენო ღედ-მამანო, ჩვენო



მიცვალებულნი, ძველნი და ახალნი. დიდნი და ბატარანი,  
ერთმანეთსამც მისცემთ სისწორესაო, ცისმაც ნამივით გადაგწვდებამთაო.  
თუ კიდევ მოგონებას ვინმე მოგველოდოსო და ვერ ვამბობთ  
სახელდობრივო, თქვენამც დაიწევთო. მაღლ-ბარაქასამც მოგცემთო,  
ჯვარსამც დაგიწერთო კაცსა და საქონსაო, თქვენამც მოგხმარდებათ ე  
პური და ე წყაღიცაო, სანთელიმცა თქვენს გზას და ანდაფს ანათებსო...

*(ვაჟასთან მიდის ბერი გიორგი, მოჰკიდებს ხელს და წმინდა მუხის  
კენწეროსკენ გაახედებს.*

*წმინდა მუხაზე გაჭიმულ თოკებზე განათებული ბურთები მოდიან.*

*ბერი გიორგი ვაჟას წაიყვანს და ჯერ იმას აუშვებს ჩამოშვებულ თოკის  
კიბეზე, მერე თავადაც ადის.*

*მაღლა ასული ვაჟა ზემოდან გადმოყრის ფურცლებს, რომლებიც თეთრი  
მტრედებივით ფარფატებენ.*

*ყველანი უძრავად დგანან და მაღლა იყურებიან).*

**(დასასრული)**

2011-2012